

ირინე ნაჭყებია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**უცხოელ მოგზაურთა თვალით დანახული თბილისის
მოსახლეობა
(XIX საუკუნის პირველი ნახევარი)***

რეზიუმე

სტატიაში წარმოვადგენილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვადასხვა მიზნით მოგზაურ უცხოელთა თხზულებებში დაცული ცნობები. თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემდგენლობისა და ადამ-წესების შესახებ. თუ XIX საუკუნის პირველ მესამედში უცხოელი მოგზაურები თბილისს ძირითადად აზიურ ქალაქად აღიქვამდნენ, 40-იანი წლებიდან ისინი თბილისს ორ – ძველ აზიურ და ახალ რუსულ-ევროპულ ქალაქად ყოფდნენ, რაც ქალაქის მოსახლეობაზეც აისახა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თბილისის მუდმივ მოსახლეობას ქართველები, სომხები და მცირერიცხოვან მუსლიმები შეადგენდნენ, XIX საუკუნის პირველ წლებში თბილისის მოსახლეობას შეემატნენ რუსი სამხედრო მოხელეები და ჯარისკაცები, რუსეთ-ირანის ომების შედეგად აქტიურად დაიწყო ირანიდან სომხების ემიგრაცია. 1818 წელს თბილისის მახლობლად დაარსდა ვიურტემბერგელი გერმანელების კოლონია, მათ გარდა თბილისში ცხოვრობდა რამდენიმე რამდენიმე ასეული სპარსელი, რამდენიმე ათეული ბერძენი, ფრანგი და ებრაელი. XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისში დამკვიდრებული რუსეთის მთავრობა სხვადასხვა გზებით ცდილობდა ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი ცხოვრების წესის შეტანას. თბილისის მოსახლეობის დაბალი ფენებისგან განსხვავებით, თბილისის თავადაზნაურობა თანდათან კარგავდა თავისი წეს-ჩვეულებების უმეტეს ნაწილს.

უცხოელ მოგზაურთ ცნობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი, სადაც ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნების, რელიგიისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი ცხოვრობდა, მნიშვნელოვანი მულტიკულტურული ფუნქციის მქონე ქალაქი იყო.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, სომხები, გერმანული კოლონია, ევროპელები, კათოლიკეები, მუსლიმები

* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „თბილისის ეთნორელიგიური მოზაიკა“ (# FR- 21-8081) ფარგლებში.

1802 წლის 12 აპრილს რუსის ჯარით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ თავად-აზნაურობას და ბაგრატიონთა სახლს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემული მანიფესტი გააცნეს, რომელიც მათ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასა და მის რუსეთის იმპერიასთან მიერთებას აუწყებდა. ქართლ-კახეთის სამეფო საქართველოს გუბერნიად, თბილისი კი მის დედაქალაქად გამოცხადდა. 1802 წელს საქართველოს გუბერნიის მთავარსარდლად დანიშნულმა გენერალმა პავლე ციციანოვმა (ციციშვილმა) 1803 წლის თებერვლიდან ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრების რუსეთში გადასახლება დაიწყო.

ამ ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური ცვლილებები გამოიწვია, რაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვადასხვა მიზნით ჩამოსულ უცხოელთა ყურადღების მიღმა არ დარჩა.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედი. 1811-1818 წლებში საქართველოში გენერალ ორბელიანის¹ დაქვემდებარებაში მყოფი ბელგიელი პოლკოვნიკის, როტიეს, ცნობით, საქართველოს სიმშვიდისთვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრები სანქტ-პეტერბურგსა და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნეს, სადაც მათ მათი ღირსებისა და პოლიტიკური რანგის შესაფერისი პენსიები დაუნიშნეს. დავითი², გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ ხელშეკრულების თანახმად გარკვეული დროის განმავლობაში იყო რეგენტი, 1803 წლის 19 თებერვალს (ძვ. სტ.) რუსეთში გაგზავნეს. პოლკოვნიკის თქმით, ქართველი მეფეების ოჯახი ისე არ ამოწყდებოდა, რომ მის უკანასკნელ ნაშიერთაგან ერთ-ერთს ხმამაღალი პროტესტი არ გამოეთქვა თავისი ღირსებისა და ღირსების დასაცავად. ეს მისია იტვირთა ქალმა დედოფალმა და დედამ, რომელმაც თავისი შვილების დასაცავად მოღალატესთან ერთად საკუთარი სისხლი დაღვარა.

ამის დასტურად როტიეს მოჰყავს წმინდა გიორგის სამლოცველოს მღვდლის, მამა ონისიმე იოსელიანისგან შეტყობილი მეტად ვრცელი მონათხრობი. კერძოდ, პავლე ციციანოვის მიერ 1803 წლის აპრილში თავისი ნათესავის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის, დაქვრივებული მარიამ ციციშვილისა და მცირეწლოვანი შვილების რუსეთში გაგზავნის ამბის შესატყობინებლად გაგზავნილი გენერალი ლაზარევი უკადრისი საქციელის გამო დედოფალმა თავისი ქმრის ნაქონი ხანჯლით სასიკვდილოდ დაჭრა და თქვა: „ასე მოკვდება ის, ვინც ჩემი უბედურებისთვის შეურაცხყოფის დამატებას გაბედავს!“ გენერლის თანმხლები ოფიცრის მიერ დაჭრილი დედოფალი თავის შვილებთან ერთად სასწრაფო ჩასვეს ეტლში და საქართველოდან მრავალრიცხოვანი ჯარის თანხლებით გაიყვანეს. დედოფლისა და მისი შვილების ან გზად შემხვედრი ძლიერ დადარდიანებული ქართველების ლაპარაკის გასაგებად, ციციანოვმა მათ ისეთი მეეტლე შეურჩია, რომელსაც ქართული ესმოდა. როტიეს თქმით, მეეტლეს ცნობა მცირეწლოვანი ბავშვის ძლიერ ხასიათზე მიუთითებდა. ჯიბრაელი თავის

¹ გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი ორბელიანი (1763-1827) – კავკასიის ომების გმირი, მე-20 ფეხოსანი დივიზიის მეთაური.

² დავით ბატონიშვილი (1767-1819) – გიორგი XII-ისა და მისი პირველი ცოლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის (1754-1782) ვაჟი, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801, მწერალი, მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი (1800).

დედას ეუბნებოდა: „დედაჩემო, რატომ მოკალით ეს ოფიცერი? – რაზეც დედამ უპასუხა: თქვენი ღირსების გამო. – პატარა ბავშვმა მყისვე უთხრა: ძალიან კარგი! დედაჩემო, თქვით, რომ ის მე მოკალი და თქვენ არაფერი დაგიშავდებათ!“³

ეს ცნობები, რომელსაც პოლკოვნიკი ტრაგედიას უწოდებს, ფრანგი ბოტანიკოსის, შარლ პაულუს ბელანჟეს თხზულებაშიც გვხვდება. როგორც ჩანს, ქართველი დედოფლის მიერ სამეფო ღირსების დაცვის ამბავმა ევროპაში დიდი ინტერესი გამოიწვია: როტიეს თხზულების ეს მონაკვეთი 1829 წელს დიდ ბრიტანეთში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა, ხოლო მოგვიანებით, 1845 წელს ფრანგმა ისტორიკოსმა, ფრედერიკ ლაკრუამ ეს ცნობა თავისი თხზულების ბოლო თავში შეიტანა, სათაურით „რუსეთის პოლიტიკა დაპყრობილი ხალხების მიმართ“⁴.

რუსეთის სამსახურში მყოფი ბერძენი დიპლომატის, ალექსანდრე ნეგრის, ცნობით, XVIII საუკუნის ბოლოს თბილისში 4,000 სახლი და 20,000 მოსახლე იყო. 1803 წლის მონაცემებით, 1795 წელს, ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ, ქალაქში 14,620 სული იყო⁵. პეტერბურგის აკადემიის დავალებით კავკასიაში მივლინებული გერმანელი ლინგვისტისა და ორიენტალისტის, იულიუს ფონ კლაპროთის, ცნობით, თბილისში როსტომ მეფის დიდებული სასახლის ადგილზე გენერალ თევდორე ახვერდოვის⁶ სახლი იდგა; ადმინისტრაციის დიდი შენობის აგებაც იქვე იყო დაწყებული. ზოგიერთ ქართველ თავადს აივნიანი ორსართულიანი სახლი ჰქონდა. მაგრამ მთელ ქალაქში ძირითადად მხოლოდ საცოდავი ქვის ქოხები ჩანდა და არც ერთი დიდი ან თავისი არქიტექტურით გამორჩეული სახლი არ იყო. გერმანელი მეცნიერის მიერ თბილისის პოლიციისგან მიღებული ინფორმაციით, რუსი მოსამსახურეებისა და გარნიზონის გამოკლებით, 1808 წელს თბილისში 18,000 სული იყო, რომლის ნახევარს სომხები შეადგენდნენ⁷.

სპარსელების მიერ თბილისის დარბევიდან 14 წლის შემდეგ ირანიდან თბილისში 1809 წლის მაისში ჩასული საფრანგეთის მისიის ერთ-ერთი წევრის, ლეიტენანტ კამილ-ალფონს ტრეზელის ცნობით, ქალაქში დაახლოებით 2,000 სახლი და 10,000 მოსახლე იყო. თბილისის ხმაურიან ბაზრებში ერთმანეთში

³ Rottiers, *Itinéraire de Tiflis à Constantinople, par le Colonel Rottiers, commandeur, chevalier de différents ordres, membre de plusieurs académies, etc.* (Bruxelles: Czes H. Tarlier-Libraire, 1829), 73-81.

⁴ Charles Paulus Bélanger, *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829* (Paris: Authus Nertrand, Libraire-éditeur, 1838), II, 34; *The London Literary Gazette and Journal of Belles Lettres, Arts, Sciences, Etc*, N 658, 29 August, 1829; Frédéric Lacroix, *Les mystères de la Russie: Tableau politique et moral de l'Empire russe d'après les manuscrit d'un diplomate et d'un voyageur*, Paris, Pagnerre - Editeur, 1845, („Politique de la Russie envers les peuples conquis“) 441-445.

⁵ М. Полиевктов, Г. Натадзе, *Старый Тифлис в известиях современников* (Тифлис: «Госиздат Грузии», 1929), 23.

⁶ თედორე ესაიას ძე ახვერდოვი, თევდორე ახვერდაშვილი (1773-1820) – ქართველი აზნაურის, სეკუნდ-მაიორის, ესაია ვასილის ძე ახვერდაშვილის, ვაჟი, საქართველოს მმართველი 1807-1811 წლებში.

⁷ J. Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*. Professeur royal des langues et de la littérature asiatique et membre du conseil de la Société asiatique de Paris (Paris: Librairie de Charles Gosselin, 1823), II, 5-7, 8, 11.

ირეოდნენ ქართველები, სომხები, სპარსელები და რუსი ჯარისკაცები. აზიის ქალაქებში გატარებული ორი წლის შემდეგ თბილისი იყო ის პირველი ქალაქი, სადაც ფრანგებმა ხელახლა იხილეს ევროპულ ადამ-წესებთან მსგავსება და დიდად გაიხარეს ქრისტიანული ქალაქის ცხოვრებით: ეს იყო ეკლესიების ზარების ხმა, მუსლიმური ქვეყნისგან განსხვავებით, თბილისელთა სახლებს კედელი მთლიანად არ ფარავდა, ყოველი ოჯახი საღამოს ოდნავ ამადლებულ ტერასაზე ატარებდა, მეზობლები ერთმანეთს ხედავდნენ და ესაუბრებოდნენ. ეკლესიიდან გამოსული ქალები ბაღში სეირნობდნენ, მათ კი დიდ სინატიფესა და დიდებულებას ანიჭებდა დიადემაზე დამაგრებული სელის გრძელი, თეთრი ვუალი, რომელიც ზურგზე ეცემოდათ. ფრანგი ოფიცრის მიერ ქრისტიანი თბილისელი ქალების ასე დეტალური აღწერა ხაზს უსვამდა მუსლიმი ქალების რეგლამენტირებული ცხოვრების წესისგან მათ განსხვავებას. ლეიტენანტის ცნობით, ქართველი მამაკაცები მათ გარშემო მცხოვრები ერებისგან გარეგნობით გამოირჩეოდნენ; მამაცებსა და მოუსვენრებს, მათ უზომოდ უყვარდათ ფუფუნება და თავის წარმოჩენა, ფრანგების მსგავსი წარმოდგენა ჰქონდათ ღირსების შესახებ და იცოდნენ დუელი. საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ტორმასოვის მიერ გამართულ საზეიმო ვახშამზე საფრანგეთის მისიის წევრებთან ერთად მიწვეული იყვნენ იმერეთის ყოფილი დედოფალი⁸, ერეკლე II-ს შვილები – კათალიკოსად დანიშნული პრინცი ანტონი და პრინცესა მისი და⁹, სომეხთა პატრიარქი¹⁰ და ერთი ქართველი სენიორი, გენერალ პრინც ბაგრატიონის ძმა. ტრეზელის თქმით, სტუმართაგან არც ერთმა არ იცოდა ფრანგული ან რუსული, მაგრამ ყველა შესანიშნავად ეწყობოდა ევროპულ სუფრას. თბილისში განლაგებული კავკასიის არმიის მთავარი შტაბის ოფიცრები ჩიოდნენ, რომ ქართველები მათ ოჯახურ შეკრებებზე არ იწვევდნენ. კავკასიაში გაგზავნილ გენერლებს მთავრობის მიერ ნაბრძანები ჰქონდათ ახალდაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ნდობის მოპოვება, მაგრამ ქართველ წარჩინებულთა ნაწილი გრძნობდა, რომ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ნაცვლად, საქართველო რუსეთის იმპერიის პატარა პროვინცია ხდებოდა და ეს ლახავდა მათ თავმოყვარეობას. ამასთან, მათ არ ჰქონდათ შეწყვეტილი ურთიერთობა სპარსელებთან, რომლებთან კვლავ იმყოფებოდნენ ერეკლეს შვილიშვილი და შვილთაშვილები¹¹ – ერეკლე II-ს ვაჟი, ბატონიშვილი ალექსანდრე და შვილიშვილები – გიორგი XII-ის ვაჟი ბატონიშვილი თეიმურაზი და ბატონიშვილ იულიონის ვაჟი ლევანი.

საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ფილიპ პაულუჩის (1811-1812) ხანმოკლე მმართველობის დროს თბილისში მივლინებული რუსეთის სამსახურში მყოფ დიპლომატის, გერმანელ ვილჰელმ ფონ ფრეიგანგის მეუღლე ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობით, თბილისში კვლავ იყო 1795 წელს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად დარჩენილი სამწუხარო ძეგლები – ნანგრევები და ქოხები, მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ნარიყალას ციხე, მთის ფერდობებზე

⁸ იმერეთის მეფის, დავით II-ის (1784-1789 წლებში) მეუღლე იყო ანა, მამუკა ორბელიანის ქალიშვილი (მიხეილ გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში (თბილისი: „მეცნიერება“, 1986), 135-136).

⁹ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ამ საღამოს დამსწრე პრინცესა თეკლე ბატონიშვილი (1776-1846) უნდა ყოფილიყო.

¹⁰ 1809-1830 წლებში თბილისში მყოფი სომეხთა კათალიკოსი ეფრემ I იყო.

¹¹ Camille Alphonse Trézel, *Notice sur la Géorgie*, Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre (SHAT), 1M n°1486, Russie jusqu'en 1811, 31.05.1809, doc. 13, fol. 10, 31-34, 70-74.

შეფენილი სახლები და ბაღები „ხელოვანი მხატვრის ფუნჯის ღირსი“ იყო. იგი ვერ ასახელებდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვს, მაგრამ აღნიშნავდა, რომ შავი ჭირის გამო ქალაქიდან გასული ხალხის დიდი ნაწილი თავის კერას უბრუნდებოდა.

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგი თბილისელი ქალების ცხოვრებაში აბანოს მნიშვნელოვან ფუნქციას ეხება, სადაც ისე, როგორც სპარსეთში, თურქეთში, მოლდავეთსა და ვლახეთში¹² მობანავს საგანგებო მანიპულაციებს უტარებდნენ. მისი ცნობით მაღალი წრის თბილისელი ქალები აბანოში ყოველ კვირას მთელ დღეს, ხშირად კი ღამესაც, ატარებდნენ. ისინი იქ იღებავდნენ თმასა და ფრჩხილებს, სახეზე კი წითელ და თეთრ საღებავს ისვამდნენ. ფრეიგანგი წერს: „თაღებში სეანსის შემდეგ ერთსაათიანი ძილი და ხილით სავსე თასი ჩვენთვის, ევროპელი ქალებისთვისაც კი, ძლიერ სასიამოვნოა და ისე მომეწონა, რომ შეიძლება ოდნავ ქართველიც კი გავხდე“¹³. ამგვარად, მოგზაური ქართველი თუ სომეხი ქრისტიანი ქალების აბანოში სიარულის ჩვეულებას აღმოსავლურ, მუსლიმურ კულტურას უკავშირებდა და ხაზს უსვამდა დასავლეთის კულტურისთვის თავის კუთვნილებას. 1816-1827 წლებში საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ერმოლოვის სამსახურში მყოფი შტაბს-კაპიტან მორის კოცებუს ცნობით, თბილისელი კაცები შაბათობით დადიოდნენ აბანოში, სადაც ეწეოდნენ თამბაქოს, გიტარაზე უკრავდნენ, ღვინით, ყველითა და პურიით ილხენდნენ¹⁴.

ამგვარად, თბილისელი ქალებისთვის აბანო ერთგვარი გასართობი ადგილისა და სილამაზის სალონის, მამაკაცებისთვის კი სამიკიტნოს ფუნქციას ასრულებდა.

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობითვე, თბილისში, განსაკუთრებით თავადაზნაურობას შორის, „კარგ ტონად“ სპარსული ენის ცოდნა და სპარსული წესების მიბაძვა ითვლებოდა. ამ კონტექსტში საინტერესოა მისი ცნობა თბილისში დამკვიდრებული რუსეთის ქვეშევრდომისა და გენერლის ჩინის მქონე შაქის ხანის, ჯაფარ-ყულის შესახებ, როდესაც მის სახლში სადილად მიწვეულ გენერალ პაულუჩის მეუღლესა და ფრედერიკა ფონ ფრეიგანგს თეფშები და დანა-ჩანგალი მიართვეს, თვითონ კი *à la Persan* ხელით ჭამდა. სადილი შედგებოდა წვნიანის, ძალიან ტკბილი კერძების, წიწაკითა და ზაფრანით უხვად შეზავებული სხვადასხვა სახის რაგუსა და მინიმუმ ექვსნაირი ფლავისგან. ხანი ევროპული წესების მიბაძვასაც ცდილობდა – სადილის ბოლოს სპარსელის კვალობაზე საკმაოდ კარგად პოლონეზიც კი უცეკვია, ამასთან, სპარსული ჩვეულებების მიხედვით ყველგან მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით დადიოდა, თბილისიდან გასვლის შემდეგ კი ტახტრევნით მგზავრობდა¹⁵.

მისივე სხვა ცნობით, გენერალი პაულუჩი რუსულ საზოგადოებასთან ქართველი თავადის ქალების ინტეგრაციას და „გაევროპელებას“ ცდილობდა. გენერლის მეუღლე ვილჰელმინა-ფრანცისკა – კურლანდიელი გრაფის, იოსებ-

¹² 1812 წელს ბუქარესტის ზავის შედეგად დნესტრის მარცხენა სანაპირო რუსეთის იმპერიას გადაეცა. მანამდე, XVI საუკუნიდან, მოლდოვის სამთავრო ოსმალეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იყო.

¹³ Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse, en 1812* (Hambourg: Chez Treutter & Wurtz, 1816), 117-120.

¹⁴ Moritz Kotzebue, *Reise nach Persien mit der Russisch Kaiserlichen Gesandtschaft im Jahre 1817* (Weimar: Hoffmannische Hofbuchhandlung, 1819), 36-37.

¹⁵ Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie*, 143-149.

ვილჰელმ ფონ კოკსულის, ქალიშვილი – ყოველ სადამოს იღებდა ქართულ სამოსში გამოწყობილ ადგილობრივ წარჩინებულ ქალბატონებს, მათ შორის ერეკლე II-ის ქალიშვილს, თავად ორბელიანის მეუღლე თეკლეს, რომელსაც ბატონიშვილის ღირსებით ეჭირა თავი. ფრეიგანგი წერს: „გენერალმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს უცნაური სამოსი ევროპულით შეცვალონ. ზოგიერთი ქართველი თავადის ქალს უკვე აღმოაჩნდა ამ ინოვაციის მიღების გამბედაობა“. მისივე ცნობით, თბილისელ ქალებს კვლავ ჰქონდათ შენარჩუნებული სახის ვუალით დაფარავის ძველი წესი¹⁶.

პატრიარქალური ცხოვრების წესის მიმდევარ წარჩინებულ სომხურ ოჯახში სამოსის მეშვეობით „გაევროპელების“ პროცესი ნელა მიმდინარეობდა. 1817 წლის ზაფხულში თბილისში მყოფი ინგლისელი ოფიცერი ჯონ ჯონსონი აღწერს თავად ბებუთოვის¹⁷, რომელსაც ქართველ თავადს უწოდებს, სახლში გამართულ ვახშამს, რომლის დროს ქართველმა ქალებმა და მამაკაცებმა სტუმრებს კავკასიური და ქართული ცეკვის სტილი აჩვენეს. ადგილობრივი სამოსისა თუ ზნე-ჩვეულებების დემონსტრირების თვალსაზრისით ჯონსონისთვის ეს წვეულება საინტერესო სიახლე იყო, მაგრამ მან გააკრიტიკა ქალების სამოსი და კოსმეტიკა. იგი წერს: „ქალბატონების ჩაცმულობა სრულებით შეუფერებელი და ჩვენი ძველი მოდის სტილში იყო... მათი სახეები საშინლად იყო დამახინჯებული მორკალული წარბებით, ხოლო თავსაბურავს სრულიად უღაზათო, წაჭრილი კონუსის, გადაბრუნებული თასისა თუ როდინის ფორმა ჰქონდა. ამ ქალბატონების ქცევაში უკიდურესი სიცივე იგრძნობოდა, რომელიც სცილდებოდა უბრალო თავშეკავებას“... მისი კომენტარით, მაკრიტანული ადათ-წესების ასეთი დაცვა სავსებით მოსალოდნელი იყო იმ ქვეყნის მცხოვრებთაგან, რომლებიც დიდი ხანის განმავლობაში იყვნენ მუსლიმების უღელქვეშ¹⁸.

თბილისელი წარჩინებულების რუსებთან ინტეგრაციის მცდელობის მაგალითები იყო თბილისში 1816 წლის დეკემბრის ბოლოს რუსი ოფიცრების მიერ დადგმული კომედიის, 1817 წლის იანვარში კი სანქტ-პეტერბურგში დამზადებულ შესანიშნავ ფორტეპიანოზე შესრულებულ კონცერტზე თბილისის თავადაზნაურობის მიწვევა¹⁹. თბილისში 1825 წლის გაზაფხულზე მყოფი მარლ ბელანჟე რამდენჯერმე დაესწრო გენერალ ერმოლოვთან გამართულ ვახშამს, რომელსაც გენერლის უახლოესი გარემოცვა – მთავარი შტაბის უფროსი გენერალი ველიამინოვი, თბილისის გუბერნატორი გენერალი ფონ დერ ჰოვენი, სომეხი თავადი მადათოვი, კავკასიაში კაზაკების ჰეტმანი ვლასოვი და პოლკოვნიკი თავადი ჭავჭავაძე ესწრებოდნენ. მაგრამ მეჯლისებზე ერმოლოვი ადგილობრივ მანდილოსნებსაც იწვევდა, რომელთა სწრაფვა, დასწრებოდნენ ყველა დღესასწაულს ნაციონალურ ტანისამოსში უკვე შეტანილი ცვლილებებით, სიამოვნებისა და ევროპული ფუფუნების საგნებისადმი მათ მიდრეკილებას მოწმობდა. სერ რობერტ კერ პორტერი აღნიშნავდა, რომ ბოლო ოცი წლის

¹⁶ Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie*, 151-153.

¹⁷ იგულისხმება პოლკოვნიკი იოსებ აგაბეკის ძე ბებუთოვი (ბებუთაშვილი) (1753-1822), რომელსაც ცოლად ჰყავდა თავად იოსებ ყორღანოვის ქალიშვილი მარიამი.

¹⁸ John Johnson, Lieutenant Colonel, *A Journey from India to England, Through Persia, Georgia, Russia, Poland, and Prussia, in the Year 1817* (London: printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1818), 243-244.

¹⁹ Kotzebuë, *Reise nach Persien*, 55-56.

განმავლობაში თბილისის მოსახლეობის მაღალი ფენები თანდათან კარგავდნენ აზიური წეს-ჩვეულებების უმეტეს ნაწილს, რაც მოსალოდნელი იყო იმ ევროპული იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებთან მათი მუდმივი ურთიერთობის გამო, რომელთა ქვეშევრდომებიც იყვნენ. გენერალ ერმოლოვის თბილისურ რეზიდენციაში გამართულ ღვთაებათა აღსკვეთის „მიშის მომგვრელი“ მამაცი მთიელი ბელადებიც ესწრებოდნენ, რომლებიც რუსული ზარბაზნების წინ უშიშრად იდგნენ, მის წინაშე კი ისე ძრწოდნენ, „როგორც უდაბნოს ყველაზე ამაყი ცხოველები ლომის მზერის წინაშე“²⁰.

თუ რუსეთის ხელისუფლებასთან თბილისის წარჩინებულების დაახლოების მცდელობა მეჯლისებისა და სხვადასხვა მიღებების საშუალებით ხდებოდა, დაბალ ფენებში ეს გაცნობა „საღდათების“ ჩასახლებით მიმდინარეობდა, რაც კარგად შენიშნეს ევროპელმა მოგზაურებმა. ფრანგი დიპლომატი ამედე ჟობერი ჯერ კიდევ 1807 წელს წერდა, რომ ირან-რუსეთის პირველი ომის მონაწილე რუსი ჯარისკაცები ზამთარს თბილისში ატარებდნენ, სადაც მათ ის სამარცხვინო თავაშვებულობა მიეძენათ, რომელიც პეტერბურგში ცივილიზაციად და ევროპულ თავაზიანობად მიიჩნეოდა. ამის გამო მათ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილგანწყობა დაეკარგათ. მოტლანდიელი კაპიტანი ჯონ მაკდონალდ-კინეირი (1813) და ინგლისელი მოგზაური სერ რობერტ კერ პორტერი (1817) აღნიშნავდნენ, რომ ჯარის ადგილობრივ მოსახლეობასთან დაბინავება რუსების მიმართ საყოველთაო სიძულვილს იწვევდა, ხოლო ვინაიდან ქართველ მამაკაცებს ქალებზე აღმოსავლელი ხალხების უმეტესობის მსგავსი წარმოდგენა ჰქონდათ, ისინი იმის გაფიქრებაზეც კი ძრწოდნენ, რომ მათი ცოლები და ქალიშვილები გამუდმებით გადააწყდებოდნენ უცხო ადამიანების შეურაცხმყოფელ მზერას. ჯარისკაცები სარგებლობდნენ სახლში მათი ქმრების არყოფნით „მათი უცოდინარი, მაგრამ ლამაზი ცოლების ხასიათიდან ქალური თავშეკავებისა და ოჯახის საკრალური მნიშვნელობის აღმოსაფხვრელად“. ბენგალის ცხენოსანი არტილერიის ლეიტენანტი თომას ლამსდენი (1819) პარალელს ინდოელთა ადამიანებად ავლებდა და აღნიშნავდა, რომ ინდოელი მამაკაცი არასოდეს აიტანდა თავისი ქალების უცხო ადამიანების გარემოცვაში მოხვედრის სირცხვილს. მორის კოცებუს განმარტებით, ადგილობრივ მოსახლეობასთან ჯარისკაცების ჩასახლების მიზეზი ის იყო, რომ სოფლებში მხოლოდ თხუნელას ხვრელები იყო, ქალაქში ყაზარმები არ იყო, ჯარისკაცები კი კარგად გრძნობდნენ თავს ქალაქის მცხოვრებლებთან²¹.

²⁰ Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 51-55, 59-60, 70-74; Sir Robert Ker Porter, *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia During the Years 1817, 1818, 1819 and 1820* (London: Printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1821-1822), vol. I, 122; Saint-René Taillandier, „La Guerre du Caucase – Le prince Woronzoff et le prophète Shamyl“. *Revue des Deux Mondes*, 2e série de la nouvelle période, tome 4, 1853, 412.

²¹ Amédée Jaubert, *Rapport sur la mission de Monsieur Jaubert en Perse*, Archives Nationales de France, AF IV, 1686, Relations extérieures, Perse, doc. 16, fol. 5; John Macdonald Kinneir, *A Geographical Memoir of the Persian Empire, Accompanied by a Map*. Political Assistant to Brigadier General Sir John Malcolm, in His Mission to The Court of Persia (London: J. Murray, 1813), 344-345; Ker Porter, *Travels in Georgia*, I, 122-123; Thomas Lumsden, Lieutenant of the Bregal Horse Artillery, *A Journey from Merut in India, to London; Through Arabia, Persia, Armenia, Georgia, Russia, Austria, Switzerland, and France, During the Years 1819 and 1820, with a Map and Itinerary of the Route* (London: Black, Kingsbury, Parbury & Allen 1822), 166-167; Kotzebue, *Reise nach Persien*, 22.

თბილისის კეთილმოწყობისა და გაფართოების პროცესი რუსეთ-ირანის პირველი, 1804-1813 წლების, ომის დასრულების შემდეგ, გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს დაიწყო. 1821-1824 წლებში თბილისში საფრანგეთის კონსულ ჟაკ-ფრანსუა გამბას ცნობით, გენერლის ბრძნებით ძველი ქალაქის გარშემო არსებული თხრილები ნელ-ნელა ამოავსეს, ეს ადგილები ახალ ნაწილს შეუერთეს, თურქ და სპარსელ ტყვეებს ქალაქიდან ნანგრევები გაატანინეს, ზოგიერთ უბანში ქუჩები გააფართოვეს და მოკირწყლეს. ადგილობრივი თავადები, მდიდარი სომხები და გენერლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავიანთი ახალი სახლების ელეგანტურობითა და ფუფუნებით. მათ შორის გამოირჩეოდა სომეხი თავადების, მაღათოვისა და ბებუთოვის, სახლები. მთავარმართებლის ძველი სახლის ნაცვლად ბორცვის ფერდობზე მოხდენილი თაღელებითა და კარგად შესრულებული ქანდაკებებით დამშვენებული თანამედროვე სტილის შენობა ააგეს. სერ რობერტ კერ პორტერის თქმით, მხოლოდ გუბერნატორის სასახლე, არსენალი, საავადმყოფო, ეკლესიები და მახლობლად მდებარე რამდენიმე სახლი ნაგებობები იყო ის ნაგებობები, რომლებიც ოდნავ მაინც ახსენებდა ევროპას. დანარჩენი სრულიად აზიური იყო, მაგრამ ძალიან განსხვავდებოდა ევროპაში აზიის შესახებ მიღებული წარმოდგენისგან, რაც ფერად მინარეთებს, მოხატულ გუმბათებსა და მოოქრულ გისოსებს გულისხმობდა²².

მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ავლაბარი, რომელიც ქალაქს ხილით უკავშირდებოდა, ღარიბი თათრებით, ქურთებითა და რუსეთ-ირანის პირველი, 1804-1813 წლების, ომის დროს ძირითადად ერევნის მიდამოებიდან გამოქცეული სომხების კოლონიით იყო დასახლებული²³. გამბას ცნობით, საქართველოში მრავლად მყოფ სომხებს თავიანთი ზნე-ჩვეულებებითა და ბუნებრივი მონაცემებით არავითარი მსგავსება არ ჰქონდათ ქართველებთან, რომელთა მებრძოლი სულისკვეთება სრულ კონტრასტს ქმნიდა სომხების მშვიდ ხასიათთან. ქართველები მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას მისდევდნენ, ვაჭრობას კი აგდებულად უყურებდნენ, მათი იერი და მანერები კი მეომრულ ხასიათზე მიუთითებდა. თათრები გადაზიდვებს ეწეოდნენ, იყვნენ მწყემსები და ცხენების რემების მეთვალყურეები. მათი ცოლები ძაფს ართავდნენ და ქსოვდნენ ხალიჩებს, რომლებიც ფერებით გამოირჩეოდა. სპარსელები კარგი ხელოსნები იყვნენ, უცხოელებს ისინი მსახურებადაც აჰყავდათ. სომხები იცავდნენ პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებებს, იყვნენ მომჭირნენი, მოწესრიგებულნი, დიდ საზრიანობას იჩენდნენ კომერციულ საქმიანობაში და ცდილობდნენ, რომ თავიანთი სიმდიდრით ყურადღება არ მიეპყროთ²⁴.

სომხების დახასიათების კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის პირველ წლებში თბილისში სასტუმროები არ იყო და ოთახებს სოხები აქირავებდნენ. იულიუს კლაპროთი და მისი თანამგზავრი თბილისში სომეხი

²² ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში* (მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ კავკასიის ქედის გადაღმა, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შევალე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში), ტომი მეორე. ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2021), 76-77; Ker Porter, *Travels in Georgia*, I, 117.

²³ გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, 67, 87; Johnson, *A Journey from India to England*, 247; Ker Porter, *Travels in Georgia*, I, 126; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 41, 72.

²⁴ გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, 90-92.

მღვდლის, დავით ჰაიტმასიანის, სახლში დაბინავდნენ. 1817 წლის ივლისში ინგლისელი ოფიცერი ჯონ ჯონსონი და მისი თანამგზავრი, იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში კი სერ რობერტ კერ პორტერი თბილისში მცხოვრებ ყველაზე თვალსაჩინო სომეხი კაცის სახლში გაჩერდნენ, რომლის გარდაცვლილი მამა, ერეთუნ ისაია ხანი იგივე ხოჯა ერეთუნი, სპარსეთის კარზე მყოფი ზოგიერთი ინგლისელი დესპანისა და ელჩის ხაზინადარი იყო; ამ სომეხ კაცს შესანიშნავი სახლი ჰქონდა, რომელიც იმავე უბანში მდებარეობდა, სადაც გუბერნატორი ცხოვრობდა. გამბა ჯერ ერთ ფრანგ კაცთან დაბინავდა, შემდეგ კი ინდოეთიდან სამშობლოსკენ მიმავალი და საქართველოში გავლით მყოფი ყველა ინგლისელის ბანკირის, სომეხი იაკობ ხანის უფრო კეთილმოწყობილ ბინაში გადავიდა. 1822 წლის ივნისში შოტლანდიელმა მოგზაურმა რობერტ ლაიალიმ და მისმა თანამგზავრებმა ერთ სომეხ კაცთან, პირანოვთან, იქირავეს ოთახი²⁵.

სომხების ემიგრაცია თბილისში. პოლკოვნიკი როტიე სომხებს რუსეთის იმპერიისთვის ყველაზე შესაფერის ქვეშევრდომებად მიიჩნევდა. მისი აზრით, არაქსის მეორე ნაპირიდან მოსული სომხების 100,000 ოჯახი სულიერად ააღორძინებდა საქართველოს: გააცოცხლებდა გემოვნებას ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის მიმართ, პროპაგანდას გაუწევდა იმპერიის მთავრობის მიმართ ერთგულებას, რისი ბევრი მტკიცებულება მათ 1812 წლის კრიზისის დროს მიეცათ. პოლკოვნიკის აზრით, ისინი გააძლიერებდნენ წესრიგისა და კანონიერების ყველა შტოს და, შესაბამისად, ჩააქრობდნენ აჯანყებისა და დაუმორჩილებლობის სულისკვეთებას. ნაციონალური ბარბაროსობა უკან დაიხევდა ამ უცხოელების, ახალი ტიპის დამპყრობლების წინაშე. მისი თქმით, პოლიტიკაში თითქმის ყველაფრის გამოყენება შეიძლებოდა²⁶.

ჟაკ-ფრანსუა გამბას ცნობით, 1820 წელს თბილისში დაახლოებით 24,000 სული იყო, 1825 წელს კი თბილისსა და მის შემოგარენში 2,500 სომხის, 1,500 ქართველის, 500 თათრისა და სპარსელის ანუ სულ 4,500 ოჯახი ცხოვრობდა. თითოეულში 6 სულზე ნაკლები არ იყო, რაც ჯამში 27,000 სული იყო. ამ რიცხვს ემატებოდა გარნიზონის შემადგენლობა, მოხელეები და უცხოელები – 6,000 სული, რაც 33,000 სული იყო. ეს რიცხვი მუდმივად იზრდებოდა სპარსეთიდან და თურქეთიდან ემიგრირებული სომხების მოზღვაავების ხარჯზე, რომლებიც იქ ეძებდნენ თავშესაფარს თურქების ტირანიისა და სპარსელების შევიწროებისგან²⁷.

შარლ ბელანჟე აღნიშნავდა, რომ რუსეთს ესმოდა, თუ რამდენად შეუწყობდა ხელს საქართველოს აყვავებას მშრომელი და მიწათმოქმედი ხალხი და ამიტომ არაფერს მოერიდა მათ მისაზიდად. სომხებმა, რომლებიც ებრაელებისგან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ და შეიძლება მათზე მეტადაც უყვარდათ სარფა, იჩქარეს საქართველოში დაფუძნება, სადაც ვაჭრობას მისდევდნენ. სომხების მთელი ემიგრაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი

²⁵ Klaproth, *Voyage au Mont Caucase*, I, 520; Johnson, *A Journey from India to England*, 242; Ker Porter, *Travels in Georgia*, I, 115; გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში* II, 31; Robert Lyall, *Travels in Russia, the Crimea, the Caucasus, and Georgia* (London: Printed for T. Cadell, in the Strand & W. Blackwood, Edinburgh, 1825), I, 508.

²⁶ Rottiers, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 87.

²⁷ გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, II, 77, 79-80.

პიროვნება სომხების პატრიარქი ნერსესი²⁸ იყო. იგი ეჩმიაძინის მონასტერში მყოფ თითქმის ყველა სასულიერო პირთან ერთად 1822 წელს გამოექცა ქურთების თავდასხმებს და თბილისში პოვა თავშესაფარი, რომელსაც მას მუდმივად სთავაზობდნენ თავისი პოლიტიკური ინტერესების მქონე რუსები. პატრიარქმა კარგად იცოდა თავისი მაღალი მოვალეობა როგორც რელიგიაში, ისე პოლიტიკაში და უზრუნველყოფდა მის აღსრულებას, თავისი მრევლის ეროვნული ხასიათის გამოცოცხლებას კი მათ შორის განათლების გავრცელებით ცდილობდა. მისი ძალისხმევით 1824 წელს თბილისში სომხებისთვის სკოლა აშენდა

ბელანჟე გვაწვდის ცნობას 1825 წლის აპრილში თბილისში გენერალ ერმოლოვთან მივლინებული ირანის ელჩის – თავრიზის გუბერნატორ ფათჰ-ალი ხანის შესახებ, რომელსაც გენერალ ერმოლოვის მიერ მომზადებული გულისტანის ხელშეკრულების რატიფიკაცია ევალებოდა. მას ახლდნენ: მდივანი მირზა რაჯები, ცერემონმაისტერი, ერთი *ფიშხედმათი* ანუ მსახური, რომელსაც ყალიონი ებარა, სამი *ფარეში*, რომლებსაც ხალიჩის გაშლა ან კარვის დადგმა ევალებოდათ და ორი *ნასახჩი* ანუ მცველი. პატრიარქ ნერსესთან სავაჭროდ მიწვეულ ხანს ევროპული ჩვევები არ ეუცხოებოდა, რადგან დიდხანს ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურგში, სადაც მისი მამა რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. ის საკმაოდ მოხერხებულად ხმარობდა დანა-ჩანგალს, უზომოდ სვამდა ღვინოს და ძალიან თავხედურად იქცეოდა სუფრასთან მსხდომი სომეხი სასულიერო პირების მიმართ. პატრიარქის თქმით, ის ხანს იმ იმედით „ეკლებოდა თავს“, რომ ირანში დაბრუნების შემდეგ ეჩმიაძინში მყოფი სასულიერო პირებისთვის ძალიან დიდი გადასახადი არ დაეწესებინა²⁹.

წარჩინებულ სპარსელთაგან თბილისში 1814 წელს ტრანზიტით გაიარეს გოლესტანის საზავო ხელშეკრულების საკითხზე მოსალაპარაკებლად პეტერბურგში მიმავალმა ირანის ელჩმა მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზიმ, 1815 წელს ლონდონში განათლების მისაღებად მიმავალმა მირზა სალეჰ შირაზიმ და 1829 წელს პეტერბურგში დიპლომატიური მისიით წარგზავნილმა აბას მირზას მეშვიდე ვაჟმა ხოსროვ მირზამ³⁰.

გერმანული კოლონია და თბილისში მყოფი ევროპელები. 1817-1820 წლებში ალექსანდრე I-ის ბრძანებით გენერალმა ერმოლოვმა თბილისის გუბერნიაში ვიურტემბერგელი გერმანელების რვა კოლონია დააფუძნა³¹. მორის კოცებუს ცნობით, თბილისის მახლობლად დასახლებული გერმანელები პატიოსანი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც სამშობლოდან ემიგრაციაში წასვლა გაჭირვებამ აიძულა. რუსეთის მთავრობა მათ დაეხმარა ფინანსურად,

²⁸ ნერსეს V (1770-1857) ამტარაკელი საქართველოში სომეხთა ეპარქიის წინამძღვრად 1814 წლის 7 მარტს დაინიშნა. იგი 1857 წლის 13 თებერვალს გარდაიცვალა თბილისში, საიდანაც ეჩმიაძინში გადაასვენეს.

²⁹ Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 49, 95-96, 100-105, 121.

³⁰ საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი, „არტანუჯი, 2016, 52, 88, 93.

³¹ რუსეთის იმპერიაში გერმანელების, ძირითადად ბადენ-ვიურტემბერგიდან წამოსული ოჯახები, ემიგრაცია 1763 წელს ეკატერინე II-ის მმართველობის დროს დაიწყო, რათა მათ ახლად მიერთებული ტერიტორიები აეთვისებინათ (П. Басихин, «Немецкия колонии на кавказе», Кавказский вестник, ежемесячный научно-литературный журнал (Тифлис: издатель-редакторы: В. Д. Корганов, Г. П. Мелик-Каракозов, 1900), 15.

უზრუნველყო მიწით, სახლებით, პირუტყვითა და თესვებით. ისინი მაღლიერები იყვნენ ამ დახმარებისთვის და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ მისი ღირსი მონდომებითა და მორჩილებით გამხდარიყვნენ. გენერალი იმედოვნებდა, რომ მათ მეტად სასიკეთო გავლენა ექნებოდათ ადგილობრივ სოფლის მეურნეობასა და ყველა სახის ხელობაზე, აღმოსავლეთის ხალხი კი მათთან ურთიერთობით ევროპული კულტურის საიდუმლოებებს უზიარებოდა და ქართველების მორალზეც დიდი გავლენა ექნებოდა, რაც ძალიან საჭირო იქნებოდა³².

თბილისის მახლობლად მდებარე გერმანულ კოლონია *ახალ-ტფილისში* (*Neu-Tiflis*)³³ 1830 წელს - 35, 1840 წელს კი 40 ოჯახი ცხოვრობდა. გერმანელთა ერთსართულიანი ხის სუფთა სახლები და ბაღია-ბაღები ამ ხალხისთვის დამახასიათებელ ეკონომიურობასა და რესპექტაბელობას ავლენდა. მათ სხვადასხვა ხელობაც ეხერხებოდათ და თავიანთი შრომით საკმაოდ გამოიმუშავებდნენ, თავისი ხარჯით ინახავდნენ პასტორს და პროტესტანტულ ეკლესიას. კოლონიის საქმიანობას საოჯახო საბჭო არეგულირებდა, რომელიც ყველა წევრის ინტერესს პროვინციის გუბერნატორთან ერთად განიხილავდა. ფრიდრიხ ბოდენშტედტი წერდა, რომ ავლაბარში, რიყეზე, გერმანულ ზალცმანს მოგზაურთა მისაღებად ძალიან ლამაზი და კეთილმოწყობილი სახლი ჰქონდა, რასაც იდა პფაიფერიც აღნიშნავს. სახლის მარჯვენა ნაწილში ბილიარდის სათამაშო ოთახი იყო, სადაც ხშირად დადიოდნენ რუსი ოფიცრები, მარცხნივ პატარა, ლურჯად შეღებილ ოთახში, რომელშიც ლურჯ სუფრა გადაფარებული მაგიდა იდგა, ზალცმანი მხოლოდ თანამემამულეებს იღებდა. ფრაუ ზალცმანი თბილისში ცნობილი იყო, როგორც გერმანული ბლინების საუკეთესო მცხობელი და ძალიან უფრთხილდებოდა თავის რეპუტაციას. მან ბოდენშტედტსა და მის თანამგზავრს კახური ღვინის შემდეგ ძვირადღირებული შამპანური შესთავაზა, რადგან თბილისში შეთვისებული ჰქონდათ ტრაპეზის შამპანურით დამთავრების ევროპული ჩვეულება და, თუ მავანს ღირსეულ პირად სურდა თავის წარმოჩენა, ის უნდა შეესრულებინა. ბოდენშტედტი ახალმოშენე გერმანელებს მტკვრის ნაყოფიერ ნაპირზე ვენახებში დასახლებულ ნეკარის³⁴ ფართომხრებიან არგონავტებს უწოდებს, რომელთა შორის მან შვაბური ცხოვრების ნაწილი – ენა, სახლები, ჩიბუხი და დაკაპიწებული ხელები – იხილა. ივან გოლოვინი კრიტიკულად აფასებდა გერმანელი კოლონისტების კეთილდღეობას. მისი თქმით, ისინი თავისუფლები იყვნენ ჯარში გაწვევისგან, მაგრამ არა რუსული მათრახისაგან, რომელსაც ისინი ემორჩილებოდნენ³⁵.

³² Kotzebue, *Reise nach Persien*, 41; Lyall, *Travels in Russia*, I, 507-508.

³³ ახალი-თბილისი (Neu-Tiflis) დაარსდა თბილისის გარეუბანში, დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირსა და კუკიაზე.

³⁴ ნეკარი – მდინარე გერმანიაში, რაინის მარჯვენა შენაკადი, ბაღენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე.

³⁵ Lyall, *Travels in Russia*, I, 507-508; Jean-Charles de Besse, *Voyage en Crimée au Caucase, en Géorgie, en Arménie, en Asie-Mineure, et à Constantinople, en 1829-1830* (Paris: Delaunay-Libraire, 1838), 376; Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc.* (Paris: Librairie de Gide, 1839), III, 238; Frédéric Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc.* (Paris: Librairie

პირველი ევროპელი, რომელსაც 1820-1828 წლებში თბილისში სასტუმრო ჰქონდა, ერთი რუსი გენერლის მიერ საქართველოში მზარეულად ჩამოყვანილი, 1812 წლის ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ფრანგი ჯარისკაცი ჟან-პოლი იყო. გენერლის წასვლის შემდეგ მან თბილისში რესტორანიც გახსნა და ოთახებსაც აქირავებდა. სავარაუდოა, რომ 1822 წელს - თომას ლამსდენი, 1820 წელს - გამბა, 1825 წლის გაზაფხულზე - ბელანჟე, 1828 წლის შემოდგომაზე კი არმსტრონგი თბილისში ერთი ფრანგის საკმაოდ მოუწყობელ ერთადერთ სასტუმროში სწორედ ჟან-პოლის რესტორანსა და გასაქირავებელ ოთახს გულისხმობდნენ. ოცდაათიანი წლებიდან ის თავის გერმანელ ცოლთან ერთად თბილისის გერმანულ კოლონიაში დასახლდა, მაგრამ, როცა სთხოვდნენ, ქორწილებისა და უცხოელებისთვის მრავალფეროვან კერძებს ჭეშმარიტი ფრანგი შეფ-მზარეულის აპლომბით ამზადებდა. ის თბილისში ცნობილი იყო, როგორც ჯენტლმენი და მას ყველა პატივს სცემდა³⁶.

თომას ლამსდენი (1819-1820) და მისი თანამგზავრები ჟან-პოლის ტავერნაში ახალგაზრდა გერმანელ ოფიცერს, ბარონ მეინზინგს შეხვდნენ, რომელიც იძულებული იყო, დუელში ერთი ოფიცრის მოკვლის გამო დაეტოვებინა გერმანული ლეგიონი³⁷; ამას გარდა, მას ოცი წლით ჰქონდა ჩამორთმეული თავისი მამულების რენტა. ფრანგ ექიმ ტეულის ცნობით, თბილისში სამკურნალო ცოდნა და ხელოვნება მხოლოდ გერმანიიდან ჩამოსული უცხოელების ხელში იყო, რომლებიც თბილისის შესანიშნავ სამხედრო ჰოსპიტალს ხელმძღვანელობდნენ³⁸.

1816-1821 წლებში საქართველოს საგუბერნიო არქიტექტორად დაინიშნა ბელგიელი ჟოზეფ კამბერლენი. თბილისში ცნობილია მის მიერ შესრულებული ერთადერთი პროექტი – თეკლა ბატონიშვილის სახლი, დათარიღებული 1819 წლის 27 მარტით³⁹.

XIX საუკუნის ოციან წლებში იტალიელი ხელოვანის მეთვალყურეობით თბილისში სპილენძის ქანდაკებებს ასხამდნენ; სამედიცინო პრაქტიკა ჰქონდა იტალიელ ექიმს, რომელიც ვაჭრებს, სომეხ სასულიერო პირებსა და პროპაგანდის მისიონერებს მკურნალობდა. თბილისის ახალ უბანში დასახლებული ფრანგები

de Gide, 1840), IV, 223-224; Friedrich von Bodenstedt, *Die Völker des Kaukasus und ihre Freiheitskämpfe gegen die Russen* (Berlin: Verlag der Dederschen Geheimen Ober – Hofbuchdruckerei, 1850), I, 115-117; George Leighton Diston, *Circassia; A tour to the Caucasus*. New-York. Stringer & Townsend, 1850, 264; Pfeiffer, *Eine Frauenfahrt um die Welt*: 265-266; Ivan Golovin, *The Caucasus* (London: Trübner & Co., 1854), 92.

³⁶ გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, 30; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 20-21; Armstrong, *Journal of Travels in the Seat of War*, 83; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 250; Thomas Lumsden, *A Journey from Merut in India, to London*, 164; Jules Charles Teule, *Pensées et notes critiques. Extraites du journal des mes voyages dans l'empire du sultan de Constantinople, dans les provinces russes, géorgiennes et tartares du Caucase et dans le royaume de Perse* (Paris Arthus Bertrand, Librairie-Editeur, 1841), II, 114.

³⁷ რუსულ-გერმანული ლეგიონი – სპეციალური რუსულ-გერმანული რაზმი, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით 1812 წელს სამამულო ომის დროს ჩამოყალიბდა.

³⁸ Lumsden, *A Journey from Merut in India, to London*, II, 111, 115.

³⁹ საქართველო: ენციკლოპედია: IV, თბილისი, 2018, 505.

და შვეიცარიელები არისტოკრატებისთვის პარიკებსა და საკონდიტრო ნაწარმს ამზადებდნენ⁴⁰.

თბილისში იყო ფრანგული კოლონია, რომელიც ჟაკ-ფრანსუა გამბას მიერ საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოყვანილი იმ ადამიანებისგან შედგებოდა, რომლებიც მას რუსეთის მთავრობისგან იმერეთში მიღებული დიდი ფართობის ათვისების საქმეში უნდა დახმარებოდნენ. ფრანგულ კოლონიასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა შვეიცარიელი ვაჭარი დე კასტელა, რომელიც გერმანულ კოლონიაში ცხოვრობდა. ყველაზე წარმატებულ საქმედ მას თბილისში ფუფუნების საგნებით ვაჭრობა მიაჩნდა და დიდ იმედებს მდიდარ სომხებზე, ქართველებზე, სპარსელებსა და საქართველოში მყოფ რუსეთის ჯარის ოფიცრებზე ამყარებდა. რუსეთის მთავრობისგან მას ათი წლით ჰქონდა მიღებული აბრეშუმის ძაფის ექსკლუზიური დართვის პრივილეგია და ამ მიზნით საფრანგეთის სამხრეთიდან, ვივარედან, მოწვეული ჰყავდა ხელოსნები და შეძენილი ჰქონდა დანადგარები, მაგრამ მისი გარდაცვალების გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ბარონმა როზენმა იქ ადმინისტრატორის თანამდებობა ფრანგ ტესერს შესთავაზა, ამ დაწესებულების პირველი მეპატრონე ფრანგი შერო იყო⁴¹.

1826-1833 წლებში თბილისში საფრანგეთის კონსული ვიქტორ ლეტელიე კონსულის საქმიანობის სირთულეს შეეხო. მისი ცნობით, ფრანგებს მისგან რჩევის ან შენიშვნის მოსმენა არ სურდათ, მაგრამ, ქვეყნის ხელისუფლებასთან უთანხმოების შემთხვევაში, კონსული მათთვის ძლევამოსილი ოფიცერი იყო, რომელსაც დახმარებას სთხოვდნენ, თუმცა უარყოფითი შედეგის დროს ისინი არც შეურაცხყოფას ერიდებოდნენ და არც მუქარას. მათ დაუსჯელად შეეძლოთ თავიანთი მოსაზრებების გამოხატვა, კონსულებს კი ქალების თავაშევეულობისა და ქმრების სიმთვრალის აღკვეთა უწევდათ. მისი ცნობით, თბილისში დასახლებული ერთ-ერთი ფრანგი კაცი დაკარგული ძაღლის დაბრუნებას ითხოვდა და უარის შემთხვევაში ლეტელიეს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ჩივილითაც კი ემუქრებოდა. ფრანგი კონსული წერდა, რომ ეს კაცი კარგი მეფუნთუშე იყო, რომლის ერთადერთი ბრალი გემრიელი ღვინის დიდი სიყვარული იყო⁴².

კათოლიკეები. XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში მოღვაწეობდა რომის პაპის მიერ ამიერკავკასიის პროვინციების სამოციქულო პრეფექტად დანიშნული კაპუცინი პატრი ფილიპ დე ფორანო. მას შესანიშნავად ჰქონდა შეთვისებული ადგილობრივი ადამიანები და შესწავლილი როგორც ქართველების, ისე სომხების ხასიათი, რაც ხელს უწყობდა კათოლიკეების რაოდენობის ზრდას, რომლებიც ხშირად დადიოდნენ თბილისის ეკლესიაში. იგი არასოდეს უარობდა სხვადასხვა რელიგიის ავადმყოფების დახმარებას. კაპუცინებს ჰქონდათ ერთი ლამაზად მორთული ეკლესია, საცხოვრებელი სახლი, ძალიან კარგი ბაღი და

⁴⁰ Johnson, *A Journey from India to England*, 248; Lyall, *Travels in Russia*, 518; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 102-103; Bodensiedt, *Tausend und Ein Tag im Orient*, I, 244.

⁴¹ Teule, *Pensées et notes critiques*. II, 114; გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, 104; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 43-45; Dubois de Montpéroux, *Voyage autour du Caucase*, III, 265-266.

⁴² Victor Letellier, *Voyage et itinéraire à Constantinople, chez les Lazzes en Géorgie, dans une partie de la Perse et de la Russie de 1826 à 1833, par P. Victor Letellier, Membre de la Société asiatique de Paris, ex-chancelier et gérant du Consulat de France à Tiflis* (Paris: Chez Arthus Bertrand, Editeur, 1840), 327-328.

სასაფლაო. ფელიქს დე ბოჟური, გამბა და ბელანჟე აღნიშნავენ, რომ რუსეთის მსგავსი ტოლერანტული მმართველობის პირობებში თბილისში, სადაც ამდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, რელიგიური შენობების დიდი მრავალფეროვნება იყო: ბერძნებს, კათოლიკეებს, მუსლიმებსა და სომხებს ჰქონდათ ეკლესიები, ტაძრები და მეჩეთები და თავიანთ რელიგიას ყველა თანაბარი თავისუფლებით მისდევდა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოგზაურები საქართველოში ჩამოვიდნენ რუსეთის იმპერატორის, იმპერატორ ალექსანდრე I-ის მმართველობის დროს, რომლის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემულ მანიფესტში ეწერა, რომ „ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრებს შეუნარჩუნდებოდა მისი წოდებრივი მდგომარეობა, აღმსარებლობა და პირადი უსაფრთხოება“⁴³. გამბას ცნობით, 1824 წელს თბილისში 600, დიუბუა დე მონპერეს ცნობით კი, 1834 წელს 341 კათოლიკე იყო⁴⁴.

ნიკოლოზ I-მა არ ისურვა კათოლიკური მისიისთვის ძველი პრივილეგიების დადასტურება და კაპუცინების საქმიანობას უარყოფითად უყურებდა. ამას ადასტურებს გრაფი სუზანეს ცნობა, რომლის თანახმად, ერთმა მართლმადიდებელმა ქალმა სიკვდილის წინ კათოლიკე მღვდელი იხმო, უარყო თავისი რელიგია და კათოლიკედ გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ძლიერ გასაიდუმლოებული იყო, მთავრობამ მაინც შეიტყო, მღვდელს კი გამოუცხადეს, რომ, თუ ოდესმე კიდევ მიიღებდა მონაწილეობას ასეთ საქმეში, მას ციმბირში გაგზავნიდნენ. სუზანეს კომენტარით, რუსეთის მმართველობას ერთ ხელში სურდა საერო და სასულიერო ხელისუფლების მოქცევა, ხოლო ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, მტრად მიიჩნეოდა. ფრიდრიხ ბოდენშტედტი 1845 წლის 1 იანვარს თვითონ შეესწრო კაზაკებისა და პოლიციელები მიერ, უმაღლესი ბრძანების საფუძველზე, კაპუცინების ორდენის მოხუცი ბერების თბილისიდან განდევნას. მისი ცნობით, მისიას ხალხში უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა, რადგან კაპუცინებს შორის ყოველთვის იყო ექიმი, მათ ჰქონდათ აფთიაქი და ღარიბ პაციენტებს სამედიცინო დახმარებას რელიგიის განურჩევლად უწევდნენ⁴⁵.

XIX საუკუნის 30-იანი წლები. ფელდმარშალ პასკევიჩის მმართველობის დროს 1829 წელს თბილისში ჩამოსული შოტლანდიელი მოგზაურის, არმსტრონგის, თქმით, ქალაქის მეტად ცოცხალი იერსახე, ღია სახელოსნოები და ყველა მიმართულებით მოძრავი კოსტიუმების ნარევი ფერად სურათს ქმნიდა და ერთი შეხედვით ნეაპოლს აგონებდა. თუმცა ქალაქის უმეტესი ნაწილი ევროპული და აზიური შენობების ნაზავი იყო, მისი აზრით, რამდენიმე წლის შემდეგ თბილისი ევროპის მეორე კლასის ნებისმიერ ქალაქებს შორის მოხვდებოდა.

⁴³ Акты собранные Кавказской Археографической Коммиссиею, (Тифлис: Тип. Главного управления Наместника кавказского, 1866), I, 432-433.

⁴⁴ Rottiers, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 105; Félix de Beaujour, *Voyage militaire dans l'Empire ottoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles...* (Paris: F. Didot Frères, 1829), II, 40; გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, 81-82, 237; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 31; Dubois de Montpéroux, *Voyage autour du Caucase*, III, 243, 236, 261.

⁴⁵ Le Comte de Suzannet, "Les Provinces du Caucase sous la domination russe. La Géorgie, le Daghestan, le littoral de la mer Caspienne et les rives du Kouban", *Revue des Deux Mondes*, 4/26 (1841): 92-93; Friedrich von Bodenstedt, *Die Völker des Kaukasus und ihre Freiheitskämpfe gegen die Russen* (Berlin: Verlag der Dederschen Geheimen Ober – Hofbuchdruckerei, 1855), I, 20-21.

მისივე ცნობით, ქალაქსა და მის შემოგარენში 1,600-1,800 თურქ ტყვეს ამუშავებდნენ⁴⁶.

ინგლისის პარლამენტის წევრ თომას ალკოკის აზრით, რომელიც არმსტრონგის თანხლებით მოგზაურობდა, რუსეთის კუთვნილებად გახდომის შემდეგ თბილისის თავისი აზიური ხასიათის უმეტესი ნაწილი დაეკარგა, მაგრამ ქართველების ადათ-წესები და სამოსი ძალიან აღმოსავლური იყო. ისინი ნაწილობრივ იღებდნენ ევროპულ ჩვეულებებს და ამგვარად ნაწილდებოდნენ სპარსელებსა და რუსებს შორის: ქართველები სპარსელების მსგავსად ფეხმორთხმით ისხდნენ, მაგრამ ტახტზე და არა იატაკზე, ჭამის დროს ხმარობდნენ დანა-ჩანგალს, მაგრამ ის ორ-სამ ადამიანს საერთო ჰქონდა, ხოლო მთელი წვეულების განმავლობაში ხშირად ერთი თეფშით სარგებლობდნენ. ქართველი მამაკაცის კოსტიუმი არც სამხრეთული ფართო სამოსი იყო და არც ჩრდილოეთის ვიწრო კიტელი; ეს იყო საშუალო სიგრძისა და ძალიან ლამაზი სამოსი – ფართო სერთუკი დიდი გახსნილი სახელოებით, წელზე ქამარი, წინ ღილებიანი გრძელი, თითქმის მუხლებამდე ჟილეტი, სპარსული ქუდი და წულები. მისი სხვა ცნობიდან ჩანს, რომ გენერალ პაულიჩის მიერ თბილისელი ქალბატონებისთვის ეროვნული სამოსის ევროპულით ჩანაცვლების კვალდაკვალ მათ ევროპული ცეკვებისა და ფრანგული ენის შესწავლაც დაიწყო. თურქებზე გამარჯვების აღსანიშნავად 1829 წლის შემოდგომაზე რუსი ოფიცრების მიერ გამართულ დიდ მეჯლისს პატიოსანი სიტყვით გათავისუფლებულ ყარსისა და ბაიაზეთის ფაშებთან ერთად ეროვნულ სამოსში გამოწყობილი თბილისის წარჩინებული წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ევროპულად ჩაცმული ზოგიერთი ქართველი ქალბატონი ფრანგულად საუბრობდა და კადრილს, ვალსსა და მაზურკას ცეკვავდა. დიუბუა დე მონპერეს ცნობით, ბარონი როზენის სასახლეში მთელი ზამთრის განმავლობაში გამართულ მიღებებზე ევროპულად ჩაცმული პრინცესა და პრინცი დადიანები, ბაგრატიონები და ორბელიანები ფრანგულ კადრილს რუს თავადებთან, გოლიცინთან და პოტოცკისთან, ცეკვავდნენ⁴⁷.

1834 წელს ირანში მიმავალი რუსეთის საელჩოს მდივანი, ბარონი კორფი წერდა, რომ თბილისში ერივანსკის მოედანი და რამდენიმე ქუჩა ევროპულად იყო გაშენებული, დანარჩენი კი აზია იყო; საოცარი იყო კოსტიუმების სიჭრელეც: ერთსა და იმავე ქუჩაზე შეხვდებოდი რუსს, ქართველს, სომეხსა და თათარს, რაც თავიდან აბნევდა ადამიანს, სად იყო მოხვედრილი და როგორ იდგა ერთსა და იგივე ცალი ფეხით ევროპაში, მეორით კი აზიაში. 1838 წელს ირანში მიმავალი რუსი თავადი ალექსეი სალტიკოვი თბილისში დიდებული აზიური არქიტექტურის ნახვას მოელოდა და გაწბილებული იყო, რომ იქ ევროპული შენობები დახვდა⁴⁸.

⁴⁶ T. B. Armstrong, *Journal of Travels in the Seat of War, During the Last Two Campaigns of Russia and Turkey: Intended as an Itinerary Through the South of Russia, the Crimea, Georgia, and Through Persia, Koordistan, and Asia Minor, to Constantinople. With Map Expressly Drawn Up, and Illustrative of the Author's Tour* (London: A. Seguin, 1831), 84-86.

⁴⁷ Thomas Alcock, *Travels in Russia, Persia, Turkey and Greece, in 1828-9* (London, E. Clarke and son, 1831), 29-31, 33-34; Dubois de Montpéroux, *Voyage autour du Caucase*, III, 252-253, 257-258.

⁴⁸ Феодор Корф, *Воспоминание о Персии 1834-1835* (Санкт-Петербург, в Гуттенберговой типографии, 1838), 33-36; Алексей Салтыков, *Путешествие в Персию. Письма А. Д. Салтыкова. С портретом Нассер-Эддин-Мирзы, валиата (наследника), ныне шаха Персии* (Москва: В Университетской типографии, 1849), 16-17.

რუსი სტატისტიკოსის, ორესტ ევეცკის, მიერ მთავრობის ბრძანებით შედგენილი ზუსტი აღწერის თანახმად, 1834 წლისთვის რუსებისა და გარნიზონის გამოკლებით, თბილისში 25,290 სული იყო, მათ შორის 5,483 ქართველი, 18,815 სომეხი, რაც სამჯერ აღემატებოდა ქართველების რაოდენობას, 725 მუსლიმი, 60 ებრაელი და 5 კათოლიკე. ქართველებს შორის იყო 60 იმერელი – 50 მამაკაცი და 10 ქალი⁴⁹. აქ უნდა აღინიშნოს, რომ 1804 წელს ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოდან თბილისში ცხოვრების უფლება მხოლოდ მათ მისცა, ვინც 1804 წლამდე იყო მიგრირებული. ასე რომ, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ამუხრუჭებდა თბილისში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას⁵⁰. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის დაწესებული ასეთი შეზღუდვის მიუხედავად, 1803 წლიდან 1834 წლამდე თბილისის მოსახლეობა 10,670 სულით გაიზარდა, რაც ძირითადად ირანიდან თბილისში ემიგრირებული სომხური მოსახლეობის, რუსი მოხელეებისა და ბუნებრივიმატების ხარჯზე მოხდა.

XIX საუკუნის 40-იანი წლები. 1837-1842 წლებში კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ გოლოვინის მმართველობის დროს თბილისში მყოფი ფრანგი ექიმის, ჟიულ მარლ ტეულის, დაკვირვებით, თბილისის მოსახლეობა ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მოგებიანი საქმე სახლების შენება და მათი იჯარით გაცემა იყო. ამის მიზეზი მრეწველობის წახალისება, ვაჭრობის დაცვა, გზების უსაფრთხოება, თბილისში საჯარისო ნაწილების კონცენტრაცია და მოხელეების რაოდენობა იყო, რომლებიც იქვე ტოვებენ ხელფასის უდიდეს ნაწილს და/, რაც ზრდიდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარებას. ქალაქში ჯერ კიდევ იყენებენ თითქმის ყველა სახის ხელობას და ისე ჩანდა, რომ ისინი მოგებიანი იყო⁵¹.

1840 წელს თბილისში მყოფი ფრანგი გრაფის, სუზანეს, ცნობით, მეტად მცირერიცხოვანი ქართული ოჯახები იშვიათად გამართულ წვეულებებზე ხელმძღვანელობას მთავარსარდალს სთხოვდნენ, რუსებს კი მიაჩნდათ, რომ ქართველებს პატივს სდებდნენ მათთან ერთ სუფრასთან ჯდომით. მოგზაურის აზრით, ამ ორი ხალხის ხასიათი იმდენად განსხვავდებოდა, რომ გაუგებარი იყო მათ შორის დაახლოების ძიება. ფრანგი გრაფი კრიტიკულად აფასებდა როგორც ქართველ, ისე რუს ქალბატონებს. მისი თქმით, უწარჩინებულესი ოჯახების წარმომადგენელი ქართველი ქალები უფრო ფრანგულად საუბრობდნენ, ვიდრე რუსულად, მაგრამ მათ არც განათლება ჰქონდათ და არც საუბრის წარმართვის ცოდნა; იგივე ითქმოდა თბილისში მყოფ რუს ქალებზეც, რომლებსაც თავი დიდგვაროვან მანდილოსნებად მიაჩნდათ, მაგრამ ამას ვერც განათლებით ამართლებდნენ და ვერც მანერებით⁵².

ირანში გატარებული სამი წლის შემდეგ თბილისში ტრანზიტით მყოფი ფრანგი ლეიტენანტის, პიშონის, ცნობით, 1843 წელს თბილისის მოსახლეობის

⁴⁹ Орест Евецкий, *Статистическое описание Закавказского края, с присовокуплением статьи: Политическое состояние Закавказского края на исходе XVIII века и сравнение оного с нынешним*, В 2 ч. (Санкт-Петербург: тип. Штаба Отд. корпуса внутр. стражи, 1835), 143-147.

⁵⁰ როლანდ თოფჩიშვილი, თეიმურაზ გვიმრაძე, ეთნოლოგიური თბილისი. თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა (თბილისი: „უნივერსალი“, 2017), 54.

⁵¹ Teule, *Pensées et notes critiques*, II, 90-91.

⁵² Comte de Suzannet, *Les provinces du Caucase sous la domination russe*, tome 87, 92.

40,000 სულიდან 10,000 კაცი გარნიზონს შეადგენდა. მისი მთაბეჭდილებით თბილისის იერსახე ევროპულ ცხოვრებაზე მიაწვდებოდა, რაც ძლიერ ჰგავს ლეიტენანტ ტრეუელის ზემოთ მოყვანილ ცნობას⁵³.

1842-1844 წლებში საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ნეიდგარდტის მიერ თბილისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად მოწვეული გერმანელი ფრიდრიხ ბოდენშტედტის თქმით, ევროპა და აზია ერთმანეთს ერივანსკის მოედანზე ხვდებოდა, ხოლო ქალაქის ახალ ნაწილში საკმაოდ თანამედროვე შენობების გვერდით მდებარე სომხების აივნებიანი სახლები ერთგვარ გარდამავალ ფუნქციას ასრულებდნენ ქართველების, სპარსელებისა და თათრების ნესტიანი, ნახევრად მიწისქვეშა ქოხების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ბოდენშტედტის საუკეთესო თბილისელი მეგობრები ჩერქეზი მომღერლები და თბილისელი თეოლოგები, განჯელი ბრძენი პოეტი მირზა-შაფი⁵⁴ – „განჯელი ბრძენი“, ბაღდადელი ბრძენი მირზა იუსუფი და მეცნიერი აბას-ყოლი ხანი იყვნენ. გერმანელი მოგზაური გაცემებით წერდა, რომ მირზა-შაფის მიმართ თათარი და სპარსელი მწიგნობრების პატივისცემის მიუხედავად, იგი სრულიად უცნობი იყო თბილისის „კარგ საზოგადოებაში“, რომელიც ძირითადად გამორჩეული რუსი სამხედრო და უმაღლესი საჯარო მოხელეებისგან შედგებოდა და რომელთა შორის მრავლად იყო გერმანული, რამდენიმე ფრანგული და ესპანური გვარი. სწორედ მათ ირგვლივ შემოკრებილიყვნენ ძველი ქართული სამეფო ოჯახის თბილისში დარჩენილი პრინცები და პრინცესები, აგრეთვე მდიდარი ქართველი და სომეხი თავადების – ერისთავების, თუმანოვების, ჭავჭავაძეების, ყორგანოვების, ანდრონიკოვებისა და ორბელიანების ოჯახები, რომელთა ჩაცმულობასა და ცხოვრების წესს მეტ-ნაკლები ევროპული ელფერი ჰქონდა. ზეიმების დროს გუბერნატორის სასახლეში გამართულ დიდ მეჯლისებზე სამოსის ისეთი ბრწყინვალეობა და მრავალფეროვნება იყო, რომლის მსგავსი მას არც კონსტანტინოპოლში ენახა და არც პარიზში. ქართველ წარჩინებულთა შორის ევროპული სამოსისა და წეს-ჩვეულებების გათავისების თვალსაზრისით მოგზაური გამოყოფს ეკატერინე ჭავჭავაძესა და ნინო გრიბოედოვს, რაც პეტერბურგის კარზე მათ ხანგრძლივად ყოფნასა და საზღვარგარეთ მოგზაურობას უკავშირდებოდა. დიდებულ სამოსში გამოწყობილი, უძვირფასესი იარაღით დამშვენებული სხვადასხვა ტომის ბელადები კი გარიყულები იყვნენ საზოგადოების ამ ვიწრო წრიდან, სადაც ქალბატონების ტუალეტები პარიზის ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, უპირატესი ენა ფრანგული, სამოსი კი შავი ფრაკი იყო. ამგვარად, სხვა მოგზაურთა მსგავსად, ბოდენშტედტიც აღნიშნავდა, რომ თბილისში რუსული ელემენტის დიდხნიან დომინირებას გარკვეული გავლენა ჰქონდა ქალაქის სომხურ და ქართულ მოსახლეობაზე⁵⁵.

⁵³ Lieutenant Pichon, "Mémoire sur la Perse". 1^{er} Régiment de la légion étrangère, Service historique de l'Armée de Terre (SHAT, Perse 1807-1857, 1M, n°1673, cahier 43, fol. 11-12

⁵⁴ მირზა შაფი ვაზეკი, აგრეთვე ცნობილი, როგორც „განჯელი ბრძენი“ (1794-1852) – აზერბაიჯანელი პოეტი, რომელმაც XIV საუკუნის კლასიკური აზერბაიჯანული პოეზია ააღორძინა. წერდა აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე. მისი ლექსები თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

⁵⁵ Friedrich von Bodenstedt, Tausend und Ein Tag im Orient (Berlin, Verlag der Deckerschen Geheimen Ober-Hofbuchdruckerei, 1850), I, 245-247, 297; Friedrich von Bodenstedt, Tausend und Ein Tag im Orient (Berlin: Verlag der Dederschen Gebeiiinen Ober – Hofbuchdruckerei, 1854), II, 149-151.

კავკასიის პირველი მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, მმართველობის (1844-1854) დროს, 1847 წლის დეკემბრიდან 1848 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე, თბილისში ამერიკელი მოგზაური ჯორჯ ლეიტონ დისტონი იმყოფებოდა. იგი იმდენად მოიხიბლა თავად ვორონცოვის პიროვნებით, რომ თავისი თხზულება მას მიუძღვნა. თბილისში ყოფნის დროს დისტონმა გაიცნო თავადის პირადი მდივანი ბარონი ნიკოლაი, კავკასიის დიპლომატიური კანცელარიის აზიის დეპარტამენტის მოხელე და სპარსული ენის მცოდნე ნიკოლაი ხანიკოვი, რომლის ყველა მსახური ირანიდან ჩამოყვანილი სპარსელი იყო. დისტონის ცნობით, იმაჟამად ქალაქის ხუთი სასტუმროდან⁵⁶ ორი საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ ამ სასტუმროებში ლოგინს არ აძლევდნენ იმ ვარაუდით, რომ ყველა მოგზაურს თავისი თეთრეული თან დაჰქონდა. საინტერესოა მისი ცნობა მეფისნაცვლის სასახლეში გამართული ვახშმის შესახებ, რომლის დროს სტუმრები მონაცვლეობით რუსულად და ფრანგულად საუბრობდნენ, მაგრამ არც აღმოსავლურ ჩვეულებებს უგულებელყოფდნენ. კერძოდ, დისტონს ძლიერ გაუკვირდა, რომ ვახშმის დამთავრებისთანავე ინდურ სტილში ჩაცმულმა პაჟმა პრინცესა ვორონცოვს⁵⁷ მოსაწევად მდიდრული თურქული ყალიონი მიუტანა. მეფისნაცვლის სასახლეში, რომლის დარბაზები პარიზის პრესტიჟული გარეუბნის ყველაზე ელეგანტურ სალონებს არ ჩამოუვარდებოდა, მიწვეული იყო ახალგაზრდა ფრანგი მეფოკუსე როდოლფი, რომელიც მანამდე სულთნის⁵⁸ სურვილით სამი წელი კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. მისი სხვა ცნობით კი, აღმოსავლური სილამაზე, ფუფუნება და მომხიბვლელობა პრინცესა ბებუთოვის⁵⁹ სახლში სუფევდა: ერთ კუთხეში ახალგაზრდა სპარსელი ქალი და ჩერქეზი პრინცესა ისხდნენ, მათ პირდაპირ, ტახტზე, ქართველი ლამაზი ქალბატონი იჯდა, ფორტეპიანოსთან კი სასახლის მომხიბვლელი ქალბატონი იდგა. ყოველი მათგანი მეგობრებით იყო გარშემორტყმული, რაც მომაჯადოებელ ჯგუფებს ქმნიდა. ამერიკელი მოგზაურის შეფასებით, მათი მანერები ისეთივე უმწიკვლო და დარბაისლური იყო, როგორც კოსტიუმები – მდიდრული და სადა, მაგრამ ეფექტური. მისი თქმით, მათი ჩაცმის ხელოვნებას ამკარად დიდი სრულყოფილებისთვის მიეღწია⁶⁰. ამგვარად, 30 წლის შემდეგ წინა თაობის ბებუთოვების ქალბატონების ეს დახასიათება უკვე სრულიად განსხვავდება ჯონ ჯონსონის შთაბეჭდილებისგან.

1848 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისის პანორამით მოხიბლულ ავსტრიელ მოგზაურ ქალს, იდა პფაიფერს, ძალიან გაუკვირდა თბილისის დანახვა, რადგან, ეკლესიის რამდენიმე შპილის გარდა, ის ევროპულ სტილში იყო აშენებული, რაც

⁵⁶ „1847 და შემდეგ 1848 წლებში „კავკასიის კალენდრები“ სულ ოთხ სასტუმროს ასახელებს – ზალცმანისას, „მოსკოვს“ (ინახავდა ვ. კრილოვი ერივანსკის მოედანზე, სუმბათაშვილების სახლში, მალე დაიხურა), „ვარშავას“ (ინახავდა კ. ხმელევსკი გოლოვინის პროსპექტზე, ჭავჭავაძეების სახლში) და „ოდესას“ (ინახავდა შილკევიჩი ალექსანდრეს მოედანზე (დავით ხომტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები. თბილისი, „არტანუჯი“, 2011, 27).

⁵⁷ იგულისხმება ელიზავეტა ბრანიცკა (1792-1880), 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეუღლე.

⁵⁸ იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის სულთანი აბდულმეჯიდ I (1839-1861).

⁵⁹ იგულისხმება მარიამ არგუტინსკაია-დოლოგორუკაია, რუსეთის არმიის გენერალ ვასილ ბებუთოვის (ბებუთაშვილი) (1791-1858) მეუღლე.

⁶⁰ Diston, *Circassia; A tour to the Caucasus*, 264, 266-267, 271, 283, 285.

მას ვალპარაისოს⁶¹ შემდეგ არ ენახა. ისე, როგორც ევროპის ქალაქებში, ყველა ქუჩაზე იყო მაღაზიები და საწყობები. კვირაობითა და ღვთისაღიშნულებზე გუბერნატორის ლამაზ ბაღში საზოგადოებისთვის ორი ორკესტრი უკრავდა, მაგრამ, მისი აზრით, რუსი სამხედროების მიერ შესრულებული მუსიკა არ იყო ისეთი კარგი, „როგორც რიო დე ჟანეიროში მოვისმინე შავკანიანების შესრულებით“-ო. ექიმი ტეულის მსგავსად, პფაიფერიც აღნიშნავს, რომ თბილისში ახალ სახლებს აშენებდნენ, ვიწრო ქუჩები კი მალე მხოლოდ გადმოცემით გახდებოდა ცნობილი. აღმოსავლური არქიტექტურის ერთადერთი ნიმუში ბერძნული (ქართველების?) და სომხური სახლები იყო. იმჟამად თბილისში იმყოფებოდა სპარსელი მეფისწული ბაჰმან მირზა⁶², რომელსაც იდა პფაიფერმა თავრიზიდან წერილები მიუტანა. ციებით დაავადებული მეფისწული, მისი ოთხი შვილი და სამი ცოლი დიდ დარბაზში ხალიჩებსა და ბალიშებზე იწვნენ. მოგზაურის თქმით, ახალგაზრდა ვალის ნაცვლად ტახტზე მისი ასულა ირანისთვის ბედნიერება იქნებოდა⁶³.

იმის გამო, რომ თბილისში ჯერ კიდევ არ იყო კომფორტული სასტუმროები, ლედი მერი ლიანორა შაილი და მისი მეუღლე, 1844-1854 წლებში ირანში ინგლისის ელჩი, გენერალი სერ ჯასტინ შაილი თავისი სიმდიდრით ცნობილი სომეხი ვაჭრის მეტად მდიდრულად მოწყობილ სახლში დაბინავდნენ, სადაც სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოტანილი ძალიან ძვირფასი ავეჯი იდგა. სამწუხაროდ, სახლის პატრონის გვარი დასახელებული არ არის. ინგლისელი ლედი გაოცებული იყო, რომ თბილისის სამხედრო გუბერნატორის მაღალი თანამდებობა გამოცდილ ადამიანს, თურქეთისა და სპარსეთის ლაშქრობებში გამორჩეულ „ქართველ სომეხს“, გენერალ ბებუთოვს⁶⁴ ეჭირა. მოგზაურის თქმით, რუსეთი ინგლისზე უფრო კოსმოპოლიტური იყო, ხოლო ვიდრე ინდოეთის ან კეთილი იმედის კონცხის კანადელ ან მალტელ გუბერნატორს გამოძებნიდნენ, საჭირო იყო ინგლისური წარმოდგენების შეცვლა. მისი დახასიათებით, ქართველი მამაცი, მღელვარე, უგუნური და ახირებული, სომეხი კი ხელმოჭერილი, მამებელი, მშიშარა და ქართველისგან განსხვავებით, მუდამ მოგების შენარჩუნებაზე მზრუნველი იყო. ლედი მერი აღნიშნავდა, რომ თბილისის ოფიციალური ნაწილი სავსე იყო მთამბეჭდავი შენობებით, ადგილობრივი ქრელი მოსახლეობით გადაჭედო ნაწილში მდებარე ღუქნებში გაცხოველებული ვაჭრობა

⁶¹ ვალპარაისო (ესპ. Valparaíso) – ქალაქი და საზღვაო პორტი ჩილეში.

⁶² ბაჰმან მირზა ყაჯარი (1811-1884) – აბას მირზას მეოთხე ვაჟი, ფათჰ-ალი შაჰის შვილიშვილი, პოლიტიკური მიზეზების გამო 1848 წელს ირანიდან თბილისში გადასახლდა.

⁶³ Ida Pfeiffer, *Eine Frauenfahrt um die Welt: Reise von Wien nach Brasilien, Chili, Otahaiti, China, Oft – Indien, Persien und Kleinasien von Ida Pfeiffer, geb. Neyer, Verfasserin der „Reise einer Wienerin ins heilige Land“ und der „Reise nach Island und Scandinavien“* (Wien: Verlag von Carl Gerold, 1850), 260-263, 267.

⁶⁴ ვასილ ბებუთოვი (ბებუთაშვილი, 1789-1858) – ინფანტერიის გენერალი, 1809-1811 წლებში მსახურობდა საქართველოს მთავარმართებელთან, გენერალ ტორმასოვთან. მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. 1817 წელს გენერალ ერმოლოვს ახლდა ირანში. 1825 წელს დანიშნეს იმერეთის მმართველად. 1828 წელს პასკევიჩთან ერთად მონაწილეობდა ახალციხის აღებაში, შემდეგ ახალციხის მმართველად დაინიშნა. 1843 წელს გენერალ-ლეიტენანტის ჩინით სარდლობდა ჯარებს დაღესტანში. 1847-1853 წლებში იყო ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს და სამოქალაქო სამმართველოს თავმჯდომარე. 1853-1856 წლებში მონაწილეობდა ყირიმის ომში. 1857 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგა.

მიმდინარეობდა. იგი თბილისს აყვავებულ, აქტიურ და ხმაურიან ქალაქს უწოდებს, რომელიც მომავალში მდიდარი სავაჭრო ცენტრი გახდებოდა, რადგან ის შავ და კასპიის ზღვებს შორის და რუსეთის, სპარსეთისა და მცირე აზიის დიდ გზაზე მდებარეობდა⁶⁵.

თბილისის ქუჩები, ბაზრები და ქარვასლები. თბილისის მრავალფეროვანი ეთნორელიგიური შემადგენლობა ყველაზე კარგად თბილისის ქუჩებში, ბაზრებსა და ქარვასლებში ჩანდა. თბილისის მკვიდრი მოსახლეობა უმეტესწილად ვაჭრობითა და ხელოსნობით იყო დაკავებული, რაც ძირითადად სომხების ხელში იყო. მათ გარდა, XIX საუკუნის პირველ წლებში თბილისის ბაზრებში თათრები და ქართველებიც ვაჭრობდნენ. ოციათი წლებიდან ბაზარში მოვაჭრეთა ეთნიკური პალიტრა უფრო მრავალფეროვანი გახდა, გერმანელი ახალმოშენები თბილისის ბაზარს კარტოფილით, საუკეთესო ბოსტნეულით, რძით, კარაქით, ყველით, ლუდით, ღვინითა და ხილით ამარაგებდნენ, გვერდით მდებარე მოედანზე კი ლეკები, თათრები და ოსები ყიდდნენ ბეწვეულს, ხალიჩებს, შალის წინდებს ან თავიანთ საქონელს სპარსულ და ევროპულ საქონელზე ცვლიდნენ. რუსეთის იმპერიის საერთო საბაჟო სისტემაში⁶⁶ საქართველოს შეყვანის შემდეგ, რაც დაბალი ხარისხის რუსული საქონლისათვის გზის გახსნა იყო, თბილისის ბაზრებში რუსი ვაჭრები გამოჩნდნენ. ისევე როგორც აზიის ბაზრებში, თბილისის ბაზრებში ყველა სახის სახელოსნო იყო: ერთ რიგში ხარაზები, მეორეში – მქსოველები, სხვებში მჭედლები, იუველიერები, აბრეშუმის ძაფის დამხვევები, მეიარაღეები და ჭონები მუშაობდნენ. ხელოსნების საქმიანობის ყურება ჭეშმარიტად გასართობი სანახაობა და თბილისის ყველაზე სასიამოვნო სასეირნო ადგილი იყო უცხოელების, გარნიზონის ოფიცრებისა და მათი ოჯახებისთვის⁶⁷.

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭრები ერთგვარ სასტუმროებში, ქარვასლებში, ბინავდებოდნენ. არწრუნის ქარვასლაში მხოლოდ სპარსელები ცხოვრობდნენ, მეორეში – რომლის მფლობელის ვინაობა დასახელებული არ არის – ყარსელი, არზრუმელი და სპარსელი სომხები ჩერდებოდნენ. კავკასიის ზოგიერთ ხალხებს, ვაჭრებს დიდი ბუხარიდან, ყანდაჰარიდან, არზრუმიდან, თავრიზიდან და სხვა ქალაქებიდან თბილისში დროებითი რეზიდენციები ჰქონდათ. ქალაქს განსაკუთრებულ იერსახეს ანიჭებდნენ და გარემოს სიცოცხლით ავსებდნენ აქლემების ქარავნები, რომლებსაც ბაქოდან და შამახადან სპარსული და ინდური, ფოთიდან და ქუთაისიდან კი თურქული საქონელი ჩამოჰქონდათ.

დიუბუა დე მონპერეს ცნობით, XIX საუკუნის 30-იან წლებში თბილისში იყო 821 ხელოსანი: 136 თერძი, 5 მესაათე, 5 ოქრომჭედელი, 54 ვერცხლზე მომუშავე, 104 მეწაღე, 16 მხატვარი, 12 ავეჯის ხელოსანი, 21 იარაღის ხელოსანი, 66 ტყავზე

⁶⁵ Lady Mary Leonora Sheil, *Glimpses of Life and Manners in Persia. – With Notes on Russia, Koords, Toorkomans, Nestorians, Khiva, and Persia*. With Illustrations (London: John Murray, 1856), 61-63, 65.

⁶⁶ 1831 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა დებულება „ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და საბაჟო საქმის მოწესრიგების შესახებ“, რომლის საფუძველზე თანდათან გაუქმდა ადგილობრივი ფეოდალური საბაჟოები და დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სამსახური.

⁶⁷ Klaproth, *Voyage au Mont Caucase*, 7; Trézel, *Notice sur la Géorgie*, SHAT, 1M n°1486, doc. 13, fol. 32; Freygangs, *Lettres sur le Caucase*, 114-115; Armstrong, *Journal of Travels*, 86, 89, 90; Kotzebuë, *Reise nach Persien*, 54; Beaujour, *Voyage militaire dans l'Empire othoman*, II, 40; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 37, 46-47, 56, 103.

მომუშავე ხელოსანი (მთრიმლაჳი), 40 ქირურგი-დალაქი, 58 მცხობელი, 74 მჭედელი, 33 ზეინკალი, 60 ღურგალი, 63 კალატოზი, 14 ტიჳქორის ხელოსანი, 18 ბალალაიკაზე დამკვრელი და 42 აბრეშუმის ძაფის დამრთველი. 1845 წლის მონაცემებით, თბილისში იყო 1448 სომეხი, 256 ქართველი, 71 კათოლიკე, 58 თათარი, 35 გერმანელი, 14 სპარსელი, 12 ებრაელი, 12 ქვეშევრდომი თურქი, 9 რუსი, 6 ბერძენი, 4 ფრანგი, 1 პოლონელი, სულ 1,926 ხელოსანი. სომეხი ხელოსნების რაოდენობა დანარჩენ 478 ხელოსანს სამჯერ აღემატებოდა. 1845 წლის მონაცემებით, 1826 ხელოსნიდან 1448 სომეხი იყო⁶⁸. ამიტომ იმჳამად გასაკვირი არ იყო, რომ თბილისში თითქმის ყველა ქართველმა იცოდა სომხური, თითქმის ყველა სომეხმა კი ქართული, თათრული, სპარსული და სხვა ტომების ენები⁶⁹.

თბილისში, რომელიც ევროპასა და აზიას შორის საკვანძო პუნქტი იყო, ზოგჯერ ერთსა და იმავე დროს ჩამოდიოდნენ კომერსანტები პარიზიდან, შიკრიკები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები – კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები სმირნიდან და იაზდიდან, უზბეკები კი – ბუხარიდან. თბილისის ქუჩებსა და ხმაურიან ბაზარში ერთმანეთში ირეოდნენ ქართველები, სომხები, სპარსელები, რუსი ჯარისკაცები, თათრები, ნოღაელები, თურქები, გერმანულად მოლაპარაკე ახალმოშენეები, ჩერქეზები, ლეკები, ოსები, ბერძნები, ესპანურად მოლაპარაკე ებრაელები, ბოშები, ქურთები, მეგრელები, იმერლები, გურულები, თუშები და მთის სხვა ხალხები. ეფექტურად გამოიყურებოდნენ თითქმის მთლიანად შავ ან თეთრ ჩადრებში გახვეული თბილისელი ქალები. კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან და ცენტრალური აზიიდან ჩამოსული უცხოელების ერთმანეთისგან განსხვავებული ფიზიონომიები, ენები, მრავალფერი კოსტიუმები და იარაღი ევროპული წეს-ჩვეულებებისა და აღმოსავლური ფუფუნების უცნაურ ნარევს წარმოადგენდა⁷⁰.

რუსი დიპლომატი ივან გოლოვინი თბილისს თავისი ზოგადი იერსახით პრადას, ხალხმრავლობითა და აქტიური ცხოვრებით კი კაიროს ადარებდა⁷¹.

დასკვნა. ამგვარად, თბილისის პოლიტიკური ფუნქცია ძირეულად XIX საუკუნის პირველი წლებიდან შეიცვალა, რაც თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიურ შემადგენლობაზე აისახა.

თუ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თბილისის მუდმივ მოსახლეობას ქართველები, სომხები და მცირერიცხოვანი მუსლიმები შეადგენდნენ, XIX საუკუნის პირველ წლებში მას შეემატნენ რუსი სამხედრო მოხელეები და ჯარისკაცები, ოცინა წლებში კი აქტიურად დაიწყო სომხებისა და გერმანელების ემიგრაცია, რაც სამხედრო, პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. მათ გარდა, თბილისში ცხოვრობდა რამდენიმე ასეული სპარსელი, რამდენიმე ათეული ბერძენი, ფრანგი და ებრაელი.

⁶⁸ Кавказский календарь на 1850 годъ (Тифлисъ, Гл. упр. Кавказ. наместника, 1849), 92.

⁶⁹ Кавказский календарь на 1847 годъ (Тифлисъ, Гл. упр. Кавказ. наместника, 1846), 155.

⁷⁰ გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში*, 79, 82, 85; Besse, *Voyage en Crimée*, 334-335; Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, III, 231-235, 266; Корф, *Воспоминание о Персии 1834-1835*, 33-36; Suzannet, *Les provinces du Caucase*, tome 87, 56; Teule, *Pensées et notes critiques*, 92; Кавказский календарь на 1847 годъ, 163; Кавказский календарь на 1850 годъ (Тифлисъ, Гл. упр. Кавказ. наместника, 1849), 92; Saint-Julien, *Voyage pittoresque en Russie*, 404.

⁷¹ Golovin, *The Caucasus*, 112-213.

თუ 1803 წლის მონაცემებით, თბილისის მოსახლეობა 14,620, 1850 წლის მონაცემებით, უკვე 30,814⁷² სული იყო. ამგვარად, 46 წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა 16,194 სულით გაიზარდა, რაც სომხური მოსახლეობის ემიგრაციის, რუსი მოხელეებისა და ბუნებრივი მატების შედეგი იყო. ამ რიცხვებში არ იყო გათვალისწინებული გარნიზონი. კავკასიის კალენდრის 1848 წლის მონაცემებით, თბილისში იყო 29,853 სული⁷³, მათ შორის 14,361 მართლმადიდებელი, რომელთა სულადობაში რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები და ბერძნებიც იგულისხმებიან, 13,779 სომეხი, 415 სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მიმდევარი, 371 კათოლიკე, 371 ლუთერანი, 1317 მუსლიმი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ სუსტად იყო შესწავლილი მოსახლეობის შიდაემიგრაციული პროცესები, მაგრამ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ქალაქში მცხოვრებთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 4-5%-ს არ აღემატებოდა⁷⁴.

უცხოელი მოგზაურების მიერ თბილისის ქუჩებში, ბაზრებსა და ქარვასლებში მოძრავი სხვადასხვა ეროვნების ხალხი უნდა გაიმიჯნოს ქალაქის მუდმივი მცხოვრებლებისგან. თბილისში მოვალეობის შესასრულებლად მივლინებული რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო პირებისთვის ეს გრძელვადიანი, სხვადასხვა ეროვნების ვაჭრების, კავკასიის სხვადასხვა მხარიდან, ირანიდან თუ თურქეთიდან ჩამოსული ხელოსნებისა და სამუშაოს საძებნელად ჩამოსულთათვის – სეზონური, თბილისის შემოგარენიდან ბაზრებში სავაჭროდ ჩამოსული პირებისთვის ყოველდღიური ანუ ქანქარისებრი, დუელის გამო სამხედრო სამსახურში თბილისში გამოგზავნილი ოფიცრებისათვის კი ეპიზოდური მიგრაცია იყო.

წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი ასრულებდა მნიშვნელოვან მულტიკულტურულ როლს, რადგან იქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის სოციალური წარმომადგენლები ცხოვრობდნენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა კავკასიაში* (მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, კავკასიის ქედის გადაღმა, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შვედლიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში). ტომი მეორე. ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2021.
2. გონიკიშვილი, მიხეილ. *ბაგრატიონთა დასახელება და მოღვაწეობა რუსეთში*. თბილისი: მეცნიერება, 1986.
3. თოფჩიშვილი, როლანდ. გვიმრაძე, თეიმურაზი. *ეთნოლოგიური თბილისი. თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა*. თბილისი: უნივერსალი, 2017.

⁷² Кавказский календарь на 1850 годъ (Тифлисъ, Гл. упр. Кавказ. наместника, 1849), 92.

⁷³ Кавказский календарь на 1849 годъ, (Тифлисъ, Гл. упр. Кавказ. наместника, 1848) 97-98.

⁷⁴ ვახტანგ ჯაოშვილი, *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა* (თბილისი: „მეცნიერება“, 1984) 83.

4. საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბილისი: არტანუჯი, 2016.
5. ხოშტარია, დავით. თბილისი. ძველი სასტუმროები. თბილისი: არტანუჯი, 2011.
6. ჯაოშვილი, ვახტანგ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი: მეცნიერება, 1984.
7. Alcock, Thomas. *Travels in Russia, Persia, Turkey and Greece, in 1828-9*. London: Printed by E. Clarke and Son, 1831.
8. Archives Nationales de France (AN), AF IV, 1686, Relations extérieures, Perse (Re/Perse), doc. 16, fol. 5.
9. Armstrong, T. B. *Journal of Travels in the Seat of War, During the Last Two Campaigns of Russia and Turkey: Intended as an Itinerary Through the South of Russia, the Crimea, Georgia, and Through Persia, Koordistan, and Asia Minor, to Constantinople. With Map Expressly Drawn Up, and Illustrative of the Author's Tour*. London, A. Seguin, 1831.
10. Barrère, Edmond de. „Salle de spectacle dans le style mauresque, conçue et exécutée par le prince Grégoire Gagarine, à Tiflis (Géorgie)“. *L'illustration, Journal Universel*, N 18, 1851, 261-262.
11. Beaujour, Louis-Auguste-Félix de. *Voyage militaire dans l'Empire othoman, ou Description de ses frontières et de ses principales défenses, soit naturelles, soit artificielles...* par le baron Félix de Beaujour. I-II, F. Didot Frères, Paris, 1829.
12. Bélanger, Charles. *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829* (Paris: Authus Nertrand, Libraire-éditeur, 1838), II, 46-47.
13. Besse, Jean-Charles de. *Voyage en Crimée au Cavcase, en Géorgie, en Arménie, en Asie-Mineure, et à Constantinople, en 1829-1830. Pour servir à l'histoire de Hongrie*, par Jean-Charles de Besse. Ouvrage orné de cinq planches lithographées. Paris: Delaunau-Libraire, 1838.
14. Bodenstedt, Friedrich von. *Tausend und Ein Tag im Orient*. I, Berlin: Verlag der Deckerschen Geheimen Ober-Hofbuchdruckerei, 1850.
15. Bodenstedt, Friedrich von. *Tausend und Ein Tag im Orient*. II, Berlin: Verlag der Dederschen Geheimen Ober – Hofbuchdruckerei, 1854.
16. Friedrich von Bodenstedt, *Die Völker des Kaukasus und ihre Freiheitskämpfe gegen die Russen*. I, Berlin: Verlag der Dederschen Geheimen Ober – Hofbuchdruckerei, 1855.
17. Diston, George Leighton. *Circassia; A tour to the Caucasus*. New-York. Stringer & Townsend, 1850.
18. Dubois de Montpéroux, Frédéric. *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc.*, III. Paris: Librairie de Gide, 1839.

19. Dubois de Montpéroux, Frédéric. *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhazes, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Avec un Atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique etc.* IV, Paris: Librairie de Gide, 1840.
20. Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse, en 1812* (Hambourg: Chez Treutter & Wurtz, 1816), 117.
21. Golovin, Ivan. *The Caucasus by Ivan Golovin*. London, Trübner & Co., 1854.
22. Johnson, John. Lieutenant Colonel. *A Journey from India to England, Through Persia, Georgia, Russia, Poland, and Prussia, in the Year 1817*. By Lieut. Col. John Johnson, C.B. London, printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1818.
23. Ker Porter, Sir Robert, *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia During the Years 1817, 1818, 1819 and 1820, by Sir Robert Ker Porter*, vol. I-II, London, Printed for Longman, Hurst, Rees, Orme, and Brown, 1821-1822.
24. Klaproth, J., *Voyage au Mont Caucase et en Géorgie par M. Jules Klaproth, professeur royal des langues et de la littérature asiatique et membre du conseil de la Société asiatique de Paris, Librairie de Charles Gosselin, II, Paris, 1823*.
25. Kotzebuë, Moritz. *Moritz Kotzebuë, Reise nach Persien mit der russisch-kaiserlichen Gesandtschaft im Jahre 1817*, Weimar, 1819.
26. Lacroix, Frédéric. *Les mystères de la Russie: Tableau politique et moral de l'Empire russe d'après les manuscrits d'un diplomate et d'un voyageur*, Paris: Pagnerre - Editeur, 1845.
27. Letellier, P. Victor. *Voyage et itinéraire à Constantinople, chez les Lazzes en Géorgie, dans une partie de la Perse et de la Russie. De 1826 à 1833, par P. Victor Letellier, Membre de la Société asiatique de Paris, ex-chancelier et gérant du Consulat de France à Tiflis. I. Paris, Chez Arthus Bertrand, Editeur, 1840*.
28. Lumsden, Thomas. *A Journey from Merut in India, to London; Through Arabia, Persia, Armenia, Georgia, Russia, Austria, Switzerland, and France, During the Years 1819 and 1820, with a Map and Itinerary of the Route. By Lieutenant Thomas Lumsden, of the Bregal Horse Artillery*. London, Black, Kingsbury, Parbury & Allen 1822.
29. Lyall, Robert, *Travels in Russia, the Crimea, the Caucasus, and Georgia, Volume 1*, London, Printed for T. Cadell, in the Strand & W. Blackwood, Edinburgh, 1825.
30. Macdonald Kinneir, J. M. *A Geographical Memoir of the Persian Empire, Accompanied by a Map. By John Macdonald Kinneir, Political Assistant to Brigadier General Sir John Malcolm, in His Mission to The Court of Persia*, London, J. Murray, 1813.
31. Pfeiffer, Ida, *A Woman's Journey Round the World from Vienna to Brazil, Chili, Thaiti, China, Hindostan, Persia, and Asia Minor. An Unabridged Translation from the German of Ida Pfeiffer. Third Edition*. London: Ingram, Cooke & Co, 1852.
32. Rottiers, Bernard Eugène Antoine. – *Itinéraire de Tiflis à Constantinople, par le Colonel Rottiers, commandeur, chevalier de différents ordres, membre de plusieurs académies, etc.*, Bruxelles, Chez Frechet, 1829.
33. Saint-Julien, Charles de, *Voyage pittoresque en Russie, suivi d'un voyage et en Sibérie par M. R. Bourdier. Illustrations de MM. Rouatgue, Outwaith et Kernot*. Paris, Belin-Leprieux et Morizot, Editeurs, 1854.

34. Service historique de l'Armée de Terre (SHAt), Château de Vincennes, le lieutenant Trézel, Notice sur la Géorgie. 1M n°1486, Russie jusqu'en 1811, doc. 13, 31.05.1809.
35. Service historique de l'Armée de Terre (SHAT), Château de Vincennes, le Général Gardane, Perse 1807-1857. 1M n°1673, Cracovie, 11.08.1809, doc. 4/52.
36. Service historique de l'Armée de Terre (SHAT), Château de Vincennes, le lieutenant Pichon, 1807-1857, 1M, n°1673, cahier 43.
37. Sheil, Lady Mary Leonora, Glimpses of Life and Manners in Persia. – With Notes on Russia, Koords, Toorkomans, Nestorians, Khiva, and Persia. With Illustrations. London, John Murray, London, 1856.
38. Suzannet, Comte de. Les provinces du Caucase sous la domination russe. Revue des Deux Mondes, 4ème série, tome 26, 1841.
39. Taillandier, Saint-René. La Guerre du Caucase – Le prince Woronzoff et le prophète Shamy. *Revue des Deux Mondes*, 2e série de la nouv. période, tome 4, 1853.
40. Teule, Jules Charles. Pensées et notes critiques. Extraites du journal des mes voyages dans l'empire du sultan de Constantinople, dans les provinces russes, géorgiennes et tartares du Caucase et dans le royaume de Perse. Arthus Bertrand, Librairie-Editeur, I-II, Paris, 1841.
41. The London Literary Gazette and Journal of Belles Lettres, Arts, Sciences, Etc, N 658, 29 August, 1829.
42. Акты собранные Кавказской Археографической Коммиссиею, I, Тифлис: Тип. Главного управления Наместника кавказского, 1866.
43. Басихин, П. «Немецкия колонии на кавказе», Кавказский вестник, ежемесячный научно-литературный журнал. Тифлис: издатели-редакторы: В. Д. Корганов, Г. П. Мелик-Каракозов, 1900.
44. Евецкий, Орест. Статистическое описание Закавказского края, с присовокуплением статьи: Политическое состояние Закавказского края на исходе XVIII века и сравнение оногo с нынешним, В 2 ч. Санкт-Петербург: тип. Штаба Отд. корпуса внутр. стражи, 1835.
45. Кавказский календарь на 1847 годъ. Тифлисъ: Гл. упр. Кавказ. наместника, 1846.
46. Кавказский календарь на 1850 годъ. Тифлисъ: Гл. упр. Кавказ. наместника, 1849.
47. Корф, Воспоминание о Персии 1834-1835. Барона Феодора Корфа, Санкт-Петербургъ: въ Гуттенберговой типографіи, 1838.
48. *Общественное здоровье в Тифлисе*. Кавказскій календарь на 1846 годъ, изданный отъ канцелярій Кавказскаго Наместника. Тифлисъ: въ Тифографіи Главнаго Управленія Закавказским краем, 1845.
49. Полиевктов, М., Натадзе, Г. *Старый Тифлис в известиях современников*. Тифлис: «Госиздат Грузии», 1929.
50. Салтыков, Алексей. *Путешествие в Персию*. Письма А. Д. Салтыкова. С портретом Нассер-Эддин-Мирзы, валиата (наследника), ныне шаха Персии. Москва: В Университетской типографіи, 1849.



1. ქართველი ქალი და კაცი – Georgian woman and man (Charles Bélanger. Voyage aux Indes Orientales... II, Paris, Authus Nertrand, Libraire-éditeur, 1838)



2. ქართველები, ჩერქეზები და სომხები – Georgians, Circassians and Armenians (By W. G. Blackie, The Comprehensive Atlas and Geography of the World, 1882)



3. კავკასიური რასების ტიპები თვად გაგარინის ესკიზის მიხედვით. – Types of Caucasian Races from a Sketch by Prince Gagarin. – L'illustration Journal Universel. 20.12.1845



4. მირზა შაფი ვაზეჰი. – Mirza Shafi Vazeh, 1850